საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუკის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 30 ივლისი. 2019 წ. №153 (8819) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ინტერვიუ

ბიძინას ბიძინასგან

პოლიტიკური პორტრეტები „სხვა რაკურსით“

4) გიგა ბოკერია-თამარ ჩერგოლეიშვილი – ამ ოჯახურ წყვილს „დიდ“ პოლიტიკურ თამაშში „საიდუმლო“ როლი აქვს განსაზღვრული. **„არსებობს საფუძვლიანი ეჭვი“, რომ „ცნობილი“ ცოლ-ქმარი, „ნაცმოძრაობასთან“ დამოკიდებულებაში, „კარგი და ცუდი პოლიციელის“ ცნობილ ტანდემს განასახიერებენ.** უფრო სწორად, შეძლებისდაგვარად ცდილობენ, განასახიერონ. განსაკუთრებული მონდომებით ქალბატონი გამოირჩევა, რომელსაც ამ საქმეში მსახიობური უნარი აშკარად ხელს არ უწყობს, მაგრამ გულწრფელად სჯერა, რომ ვერავინ ვერაფერს ხვდება. რაც შეეხება ქმარს – ძალიან თვალსაჩინოა, რომ სახეზე მკაფიო უიმედობა აწერია, რაც იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ გრძნობს, ან იცის, წინასწარ წაგებულ თამაშს რომ თამაშობს, მაგრამ სხვა გზა რომ არა აქვს, რა უნდა ქნას? (ესეც სახეზე აწერია).

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითაც ზუსტად ზემოხსენებული სცენარის შემსწრე გავხდით: ქმარმა, ოღონდ ძალიან ნირწამხდარმა, დაახლოებით ბაქრაძის მესიჯის მოკლე ვარიანტი წარმოადგინა (ძაან სისულელეებში არ „გაუნავარდია“. ეს როლი, ეტყობა, ბაქრაძეს უფრო „კარგად გამოსდის“), ხოლო ცოლმა, ტრადიციულად, მიშისტებსაც „წაკბინა“ – „არც ივანიშვილი გვინდა და არც „ნაცებიო“.

ცნობილი სიუჟეტის წამდაუწუმ ტრიალს, „ზომიერად კარგის“ როლის შემსრულებლის უიმედო განწყობას, „შემტევი ცუდის“ როლის შემსრულებლის უნიჭობით შეზავებულ გულწრფელ მონდომებას, ყველა კრიტიკულ და მნიშვნელოვან მომენტებში „როლებიდან“ მყისიერ გამოსვლას და „ნაცმოძებისა“ და „ევროსაქების“ იდეური ერთობის ღია დემონსტრირებას და კიდევ სხვა **მრავალ გარემოებათა ერთობლიობას, დრამად ჩაფიქრებული სპექტაკლი კომედიურ ჟანრში გადაჰყავს.**

მართლაც, ძალიან სასაცილოა ეს ყველაფერი, მაგრამ... რა ვქნა, ქალი იმდენად მეცოდება, რომ „ლაითად“ გაღიმებასაც ვერ ვახერხებ. გამიგია, მსახიობობა ყველა გოგონას ოცნებაა და გვიან მოცემულ პირველივე შანსს წყალს (პათოლოგიური რეჟიმის მობრუნების სურვილს) რომ გაატან, მგონია, არ იქნება ადვილი გადასატანი.

იხ. 4-5 გვ.

სალომე ზურაბიშვილმა თამაზ ტყემალაძე ღირსების მედლით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, ქართული ტელევიზიის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს პირველი არხის სამაუწყებლო ენის მთავარი რედაქტორი თამაზ ტყემალაძე ღირსების მედლით დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონია პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა და მას თამაზ ტყემალაძის მეგობრები და კოლეგები ესწრებოდნენ. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა თამაზ ტყემალაძეს მისი ნაყოფიერი საქმიანობისა და მრავალფეროვანი ნაშრომებისათვის.

„თქვენი გრძელი კარიერა და საინტერესო გზა ჟურნალისტიკაში მაგალითია ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის. დღეს ჩვენს ქვეყანას სწორედ თქვენნაირი ჟურნალისტები სჭირდება, ვინც იცის საკუთარი ქვეყანა, მისი ისტორია, მწერლობა, შეუძლია გადასცეს საკუთარი გამოცდილება ახალგაზრდებს და გაუზიაროს მათ, რას ნიშნავს ქართული კულტურა. იმედი მაქვს, რომ თქვენი მაგალითით და თქვენი ასეთი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აღიარებით ვაჩვენებთ ახალგაზრდებს, რომ არსებობს ჟურნალისტიკის ძალიან საინტერესო გზა – იყო საკუთარი ქვეყნის მემატიანე“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

გრიგორი კარასინი თანამდებობიდან მიდის?



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის მიერ თანამდებობის შესაძლო დატოვების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს ზურაბ აბაშიძე. რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი აცხადებს, რომ ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არ დასტურდება. **„შესაბამისი განცხადება ჩვენი მხრიდან მას შემდეგ გაკეთდება, რაც რუსეთის საგარეო უწყება ოფიციალურად განაცხადებს გრიგორი კარასინის თანამდებობის დატოვების შესახებ“,** – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ. კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია, ამ ფაქტმა მოლაპარაკებების პროცესი შეაფერხოს, ზურაბ აბაშიძე უპასუხებს, რომ ამ საკითხზე საუბარი ნაადრევია. მისი თქმით, მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი დაგეგმილია შემოდგომაზე, სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის პირველ ნახევარში. რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი თანამდებობას ტოვებს.

③ „მთელმა ერმა თუ არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“!

დისზანციური გაკვეთილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის

საწვავი გაუნყვეტლივ ძვირდება, გაიაფებაზე საუბარი ჯერჯერობით წარმოუდგენელია ②

ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა ანაკლიას ⑨ ხელს არ უშლის

პარლამენტი მამუკა ბახტაძის წლიურ ანგარიშს საშემოდგომო სესიის პირველსავე სხდომაზე მოისმენს

საქართველოს პარლამენტი პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის წლიურ ანგარიშს საშემოდგომო სესიის პირველივე სხდომაზე მოისმენს, — ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა განუცხადა.

დეპუტატის თქმით, რეგლამენტის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანოს მთავრობის ანგარიში ივნისის ბოლომდე უნდა მოესმინა, თუმცა 20 ივნისის მოვლენების გამო, ანგარიშის მოსმენა გადაიდო.

ახალი კონსტიტუციის პირობებში, საკანონმდებლო ორგანოს პირველად წარედგინა გენერალური პროკურორის ანგარიშიც, თუმცა ანგარიშის მოსმენა არ მომხდარა, რისი სავარაუდო მიზეზიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში გენერალური პროკურორის შალვა თადუმაძის მონაწილეობაა.

რაც შეეხება სახალხო დამცველის ანგარიშს, ნინო ლომჯარიას მიერ მომზადებული 2018 წლის ანგარიში პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა განიხილა, თუმცა პლენარული სხდომის ფორმატში არც ომბუდსმენის მოსმენა მომხდარა. არსებული ინფორმაციით, სახალხო დამცველის მოსმენა სექტემბერში იგეგმება.

რეგლამენტის მიხედვით, საშემოდგომო სესია სექტემბრის პირველ სამშაბათს იხსნება და დეკემბრის მესამე პარასკევს იხურება.

აქცია ბათუმში

ბათუმში, ევროპის მოედანზე „პატრიოტთა ალიანსის“ აქცია გაიმართა. პარტიის ლიდერებმა ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა ხელისუფლებას მოთხოვნები წაუყენეს.

მოთხოვნებს შორისაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად პირდაპირი დიალოგი სოხუმთან, ცხინვალსა და მოსკოვთან, „ნაციონალური მოძრაობის“ „დამნაშავე პოლიტიკურ ძალად“გამოცხადება, რუსეთის მიმართ რიტორიკის შეცვლა, ქართულ-რუსული ურთიერთობების კრიზისამდელ დონეზე დაბრუნება, ასევე საქართველოს მიერ უარის თქმა სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე.

„დროა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ... აქციის მთავარი მოთხოვნაა, რომ პარლამენტმა ბოლოს და ბოლოს მიიღოს ჩთენი რეზოლუცია და დაგმოს ნაციონალების დამნაშავე რეჟიმი“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსმა“ განაცხადა, რომ ყველა მოთხოვნის შესრულებამდე აქციებს სექტემბერში განაახლებს.

ოქრუაშვილს პატიმრობა შეუფარდეს

„გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერ ირაკლი ოქრუაშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

გამოძიება ირაკლი ოქრუაშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება, რაც მასობრივი ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მონაწილეობას გულისხმობს. შეფარდებული პატიმრობის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი ე.წ. მატროსოვის ციხეში გადაიყვანეს.

„ირაკლი ოქრუაშვილი იმ დონის პოლიტიკოსად არ მიმაჩნია, რაიმეს განეიტრალება შეეძლოს“

ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, გია ვოლსკიმ განუცხადა, რომელიც თავდაცვის ყოფილი მინისტრის თაობაზე ოპონენტების შეფასებებს გამოეხმაურა.

დეპუტატის თქმით, არ შეიძლება, ადამიანი ქვეყანაში სათავეში ედგეს დესტაბილიზაციას, ან ამის ერთ-ერთი მოთავე იყოს და მის მიმართ დამოკიდებულება ისეთი იყოს, როგორიც ხელისუფლების არაერთ ოპონენტს აქვს.

„მათი დამოკიდებულებაა — მერე რა, შეტევა იყო; მერე რა, შტურმი იყო; მერე რა, დესტაბილიზაცია იყო; მერე რა, ეკონომიკასა და ეროვნულ ვალუტაზე სერიოზული დარტყმა იყო; მერე რა, რა მოხდა, თუ ტურისტი არ ჩამოვა, რუსი იქნება თუ იაპონელი; ეს არის დამოკიდებულება, რომელსაც გამოხატავს ოპონენტი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა. სასამართლოს გადაწყვეტილებას არ შევაფასებდი, რადგან პოლიტიკოსები ამ თემაში რაც უფრო ნაკლებად ჩავერევით, მით უკეთესია. ზოგს სწამს და ზოგს არა იმის, რაც მოისმინა. თუ ადამიანი დანაშაულს სჩადის, პასუხი უნდა აგოს. ირაკლი ოქრუაშვილი იმ დონის პოლიტიკოსად არ მიმაჩნია, რომ რაიმეს განეიტრალება შეეძლოს. თუ ოქრუაშვილს „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით არგუმენტები გააჩნია და ხელმოწერების ნამდვილობას ამტკიცებს, ეს სხვა თემაა, რასაც თავისი განხილვა ექნება. თუ ვერ ამტკიცებს, ეს თაღლითობის სხვანაირი ფორმაა. არც ერთ შემთხვევაში არ მგონია, ირაკლი ოქრუაშვილისთვის რაიმე პოზიტიური პერსპექტივა იკვეთებოდეს. ვერ ვიტყვი, რომ ირაკლი ოქრუაშვილს სამართლებრივად ან პოლიტიკურად რაიმე მყარი პოზიცია აქვს“, — განაცხადა ვოლსკიმ.

საწვავი განუწყვეტლივ ძვირდება, გაიაფებაზე საუბარი ჯერჯერობით წარმოუდგენელია

იმ დროს, როდესაც ლარის კურსი სტაბილური უნდა იყოს, ხოლო საწვავი იაფდებოდეს, ქვეყანაში აბსოლუტურად სხვა ვითარებაა. ეროვნული ვალუტა გაუფასურების რეკორდებს ამყარებს, ხოლო დამფრთხალი იმპორტიორები პროდუქციას აძვირებენ. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია საწვავის ფასების მიმართულებით. სწორედ ლარის ვარდნის გამო ივლისში ბენზინი და დიზელი 10-15 თეთრით გაძვირდა.

ავტოგასამართი სადგურების დიდ ნაწილში საწვავი ხუთი თეთრით გაძვირდა. **„რეგულარის“ ტიპის საწვავის ფასი „გალფის“ ქსელში 2.54 ლარი გახდა, „სოკარ პეტროლეუმ ჯორჯიას“ ქსელში — 2.53 ლარი, „რომპეტროლის“ ქსელში — 2.54 ლარი, „ვისოლის ქსელში“ — 2.59 ლარი.** ბენზინი ხუთი თეთრით გაძვირდა ივლისის დასაწყისშიც. მიზეზად ლარის გაუფასურება და საწვავის საერთაშორისო ფასების გაზრდა დასახელდა.

ლარი ბოლო პერიოდში მართლაც უფასურდება, ხოლო რაც შეეხება მსოფლიო ბაზარზე არსებულ ვითარებას, იქ ვითარება შედარებით გამოსწორდა და ნავთობპროდუქტებმა გაიაფება დაიწყო. მაგალითად, „პლატცის“ ფასით 1 ტ. ბენზინის ღირებულება 632 დოლარით განისაზღვრა, ხოლო ამავე მოცულობის დიზელის ფასი 575 დოლარია. ეს დაახლოებით 40-დოლარიან შემცირებას უტოლდება, თუმცა ადგილობრივ ბაზარს ვერაფერს შველის. საქმე ისაა, რომ ლარის მკვეთრი დევალვაციის გამო ქვეყანაში იმდენად არაორდინარული ვითარებაა შექმნილი, გაიაფებაზე საუბარი წარმოუდგენელია. ნავთობიმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი **ვანო მთვრალაშვილი** მხოლოდ იმის იმედს იძლევა, რომ ფასები სტაბილური იქნება.

„ზოგადად, როდესაც ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში არასტაბილურია და ბოლო პერიოდში ვაკვირდებით, რომ მისი ვარდნა საკმაოდ მასშტაბურია, რა თქმა უნდა, ეს არა მხოლოდ ჩვენი ინდუსტრიისთვის, არამედ ზოგადად ბიზნესისთვის საკმაოდ ნეგატიური შედეგის მომტანია. კომპანიები ამის გამო ძალიან დიდი პრობლემების წინაშე არ დგანან, საკითხი ბოლომდე ასე არ არის, თუმცა საკმაოდ დიდი გაურკვევლობაა ბაზარზე. კომპანიები კურსის ცვლილების სხვაობის გამო დროდადრო ზარალდებიან და ამიტომ ახლა გაიაფებაზე საუბარი წარმოუდგენელია“, — განაცხადა მთვრალაშვილმა.

რასაკვირველია, როდესაც ეროვნულმა ვალუტამ ყოველგვარი ლოგიკურობის ზღვარი დაარღვია და შუა ზაფხულში ასე უფასურდება, ბიზნესს ფასების ზრდაში უკვე ველარავინ დაადანაშაულებს. ამ თვალსაზრისით ვითარება დრამატულია. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი **პაატა ბაირახტარი** ამბობს, რომ ისტორიულ გაუფასურებაზე, უკვე ყველამ ხელი ჩაიქნია, აღარავინ იღებს პასუხისმგებლობას და ეს არის ყველა პროდუქტისა და პროდუქციის გაძვირების მიზეზი.

„ახლა კომპანიებს ნამდვილად აქვთ ობიექტური მიზეზი, რომ საწვავი გააძვირონ. ბოლო თვენახევრიან მონაკვეთში, ფასები იცვლებოდა კლებისა და ზრდის მიმართულებით. ამასობაში საქართველოში დაახლოებით 14 პუნქტით გაუფასურდა ლარი და ვერ გამყარდა ისე, როგორც გაუფასურდა. ერთი შეხედვით, იმპორტიორებს რეალურად აქვთ საფუძველი, რომ ფასების კორექტირება მოახდინონ.

მდგომარეობა დღეს საკმაოდ მძიმეა, გაცვლითი კურსის მიმართულებით რთული სიტუაციაა და ამ პრობლემას ნავთობიმპორტიორები ხელოვნურადაც ამწვავებენ. თუ ვინმე ხაზს უსვამს, რომ რეზერვების ამოწურვის შემდეგ დაიწყეს გაძვირება, ეს არ არის სწორი აქცენტი. ლარმაც ბოლოს და ბოლოს რაღაც წონასწორობის წერტილი უნდა იპოვოს“, — ამბობს ანალიტიკოსი.

ეკა ბაძრაძე

„მთელმა ერმა თუ არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“!

დისტანციური გაკვეთილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის

სახელმწიფო ხალხის ორგანიზების უმაღლესი ფორმაა. ამ განსაზღვრებას იზიარებდა და იზიარებს დედამიწაზე მცხოვრები ყველა ნორმალური ჭკუისა და კაცობრიობისადმი კეთილგანწყობილი ადამიანი; ამ ფორმულირებას არ იზიარებდა და არ იზიარებს პათოლოგიურად გამრუდებული აზროვნებისა და კაცობრიობის სიძულვილით გაჟღენთილი სუბიექტი. ამიტომ არის, რომ სახელმწიფოს, როგორც სოციალური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფოს არსებობის ისტორიის დაწყებიდან დღემდე გრძელდება.

ეს ბრძოლა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ლოზუნგითა და ნიღბით ევლინებოდა ადამის მოდგმას: ხან ვითომ ჰუმანიზმის მოთხოვნა გამოდის ისტორიის ავანსცენაზე, ხან ვითომ დემოკრატიის პრინციპების პრიორიტეტულობაა აქტუალური, ხანაც აბსტრაქტული თავისუფლების წყურვილი აღძრავს მასების აქტივობას და ა. შ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში სრულიად სატანისტური დირექტივა მიეცა კაცობრიობას ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაციის სახით, რაც პიროვნების უფლებას სახელმწიფოს უფლებაზე მაღლა აყენებს.

პიროვნების უფლება თუ სახელმწიფოს უფლებაზე მაღლა დგას, მაშინ სახელმწიფო ხალხის ორგანიზების უმაღლესი ფორმა არ ყოფილა! იქნებ ვინმემ იცის სხვაგვარი ლოგიკა? არა მგონია!

არაორგანიზებული ხალხი ბრბოა და ბრბოს მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შეუძლია – თვითლიკვიდაცია! ამიტომ არის, რომ ანტისახელმწიფოებრივმა იდეოლოგიებმა დღემდე ვერ მოახერხეს ადამიანებში სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამოძირკვა, თუმცა ევროპის ქვეყნების ნაწილში თვალსაჩინო შედეგები აქვთ, რამაც ჯერ კიდევ ასი წლის წინ დააწერინა **ოსვალდ შპენგლერს** საყოველთაოდ გახმაურებული წიგნი **„ევროპის დაისი“**.

ახლა ისევ „პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ“, ანუ სახელმწიფოს ფენომენის არსს მივუბრუნდეთ.

სახელმწიფო ძალადობის მექანიზმიაო, – მრავალი საუკუნის განმავლობაში ქადაგებდნენ ე.წ. დემოკრატიული იდეოლოგიის მიმდევრები. კომუნისტებმა ამგვარი გაგების დიფერენცირება მოახდინეს და თქვეს, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოა ძალადობის მექანიზმი, თორემ სოციალისტური სახელმწიფო მხოლოდ სოციალიზმის მტრების მიმართ არის ძალადობრივიო.

საბჭოთა კავშირში, ნიკიტა ხრუშჩოვის ზეობის ხანაში, კომუნისტურმა იდეოლოგიამ მთლად „გარეკა“ და იმის მტკიცება დაიწყო, რომ რახან ჩვენში უკვე აღარ არიან ურთიერთმტრული სოციალური კლასები, აქ უკვე საერთო-სახალხო სახელმწიფო ყალიბდება და ახლო მომავალში, ასე, ოც წელიწადში სამართალდამცავი ორგანოებიც აღარ დაგვჭირდებაო, ხალხი თვითონ მიხედავსო მართლწესრიგს. ეს რომ ასე იქნებაო და არა სხვაგვარად, ამის დასტურად შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელი გადაარქვეს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო უწოდეს. ისე რომ, სახელმწიფოს კვდომის ტროცკისტულმა იდეოლოგიამ, რომელიც თავის დროზე სტალინმა დაასამარა, კვლავ ფრთები გაშალა...

ისე ცხონდა ხრუშჩოვი და მისი შინაური თუ უცხოელი ჭკუისდამრიგებლები, რაც ეს აზრი ჭკუასთან ახლოს იყო! თუმცა, გააჩნია ვის ჭკუას ვიგულისხმებთ. საბჭოთა სახელმწიფოსა და, კერძოდ, რუსეთის სახელმწიფოს მტრების ჭკუასთან ახლოს კი არა, მთლად მისი ნაყოფი და თავდადებული გარჯის შედეგი იყო!

სახელმწიფო ვინმეს გენიალური გამოგონება ან ახირება კი არ არის, არამედ ხალხის სოციალური განვითარების პროცესის ლოგიკური შედეგია.

რასაც ახლა ვიტყვი, გონიერი და განათლებული ადამიანებისთვის ცნობილია, მაგრამ მე მათთვის არ ვწერ; მე ხელისუფლების ინფორმირების მიზნით ვირჯები. არა მგონია, მათ სახელმწიფოს არსი და ფუნქცია იცოდნენ. მათ ქმედებებში ეს ცოდნა არ ჩანს და თუ პიროვნულ ამბიციებს გადააბიჯებენ და სწავლას არ ითაკილებენ, შეიძლება უფრო მეტი სასიკეთო საქმის გაკეთებაც შეძლონ, როგორც ქვეყნისთვის, ისე საკუთარი თავისთვისაც.

აქვე, აუცილებლად, ისიც უნდა ვთქვა, რომ სახელმწიფოს შესახებ აქ გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები მე კი არ მეკუთვნის, კაცობრიობის დიდ მოაზროვნეთა ფიქრისა და კვლევა-ძიების შედეგად არის მოპოვებული. ახლა იმიტომ ვცდილობ, ყოველივე ამას თავი მოვუყარო და გასაგები ენით გავაცნო ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ვიცი, დღეს წიგნების, განსაკუთრებით მეცნიერულის, კითხვა ჩვენში ჩამორჩენილობად ითვლება, რადგან მოდაშია სოციალურ ქსელებში წერა, რასაც რაიმე პოზიტიური ცოდნა სულაც არ სჭირდება, ხოლო ხელისუფლებამ ის რომ არ იცის, რა არის სახელმწიფო, ეს ჩვენში პერმამენტულად მიმდინარე მოვლენებს ეტყობა.

მაშ ასე:

როდესაც ჩვენმა უძველესმა წინაპარმა პირველი ნაბიჯი გადადგა ველურობიდან კულტურისაკენ, იგი ველური სამყაროს წინაშე მარტო აღმოჩნდა. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ფიზიკური მომზადების მიხედვით (სხვაგვარი მომზადება მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა) ადამიანის ნაშიერი გარშემომყოფ ცხოველ-ფრინველთა შორის ყველაზე უმწეო იყო. ამიტომ იძულებული გახდა, თავისივე სისხლით მონათესავე, მსგავს არსებებთან ერთად ჯოგურად ეცხოვრა, რომელიც პირველყოფილი ოჯახის სახელით მოიხსენიება მეცნიერებაში. ამგვარ ოჯახში ყველაფერი საერთო იყო – შრომაც და მოხმარების საშუალებებიც, მათ შორის სქესობრივი ურთიერთობების სუბიექტებიც. განვითარების შემდგომ საფეხურზე, პირველყოფილი ოჯახი დაიშალა და მონოგამიურ პრინციპზე ჩამოყალიბდა ახალი სოციალური უჯრედი – ოჯახი, თუმცა პირველყოფილი ოჯახური კავშირები – სამეურნეო და თავდაცვითი – დარჩა და გვაროვნული მიკუთვნებულობის საფუძველზე განვითარდა კიდეც.

საარსებო საშუალებათა და სივრცის დაუფლების მიზნით განუწყვეტელი კონფლიქტები მძვინვარებდა გვაროვნულ გაერთიანებათა შორის, რამაც აიძულა მონათესავე გვარები, ტომებად გაერთიანებულიყვნენ. ტომებს ბელადები მართავდნენ, რომლებსაც პიროვნული სიმამაცისა და გამორჩეული ფიზიკური ძალის მიხედვით ირჩევდნენ. ცივილიზაციის განვითარებისა და ტომის წევრებსა, თუ საკუთრივ ტომებს შორის ურთიერთობების გამრავალფეროვნება-გართულების კვალობაზე სულ უფრო არაეფექტური გახდა ბელადების ინსტიტუტი და ხალხის ტომობრივი ორგანიზაცია. ხალხის სოციალური განვითარების დიალექტიკის კანონზომიერებებმა მონათესავე ტომთა სრულიად ახალი, მაღალორგანიზებული ფენომენი – სახელმწიფო წარმოშვა. სწორედ სახელმწიფოს წიაღში აღმოცენდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა– ერი.

ერს აქვს რამდენიმე არსებითი ნიშანი, რომელთა შენარჩუნება და დაცვა ეროვნული სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციაა. მათი მთლიანი, ან ნაწილობრივი გაქრობა ერის მთლიან, ან ნაწილობრივ გაქრობას იწვევს. ამ მიზეზით არა ერთი ერი გამქრალა ისტორიის სარბიელიდან.

რა ნიშნებია ეს?

საერთო ენა, ერთიანი ტერიტორია, ერთგვაროვანი ეთნოფსიქიკა, ერთიანი ეკონომიკა, მყარად ჩამოყალიბებული ისტორიული ტრადიციები და ადათ-წესები, სარწმუნოება, რასაც ეფუძნება ზნეობრივი მრწამსი.

თითოეული ამ ნიშნის დაცვა-შენარჩუნებას, ანუ ეროვნული რაობის ხელშეუხებლობას ვერც კერძო კაცი და ვერც გვარი და ტომი შეძლებს. ამიტომ, თითოეულმა ადამიანმა ეს მოვალეობა გადავეცით სახელმწიფოს და ის ვაღიარეთ. ჩვენი სოციალური სტატუსის უზენაეს, დამცველი სახელმწიფო გახდა და ამიტომ მოვახდინეთ ჩვენი უფლება-მოვალეობების ამ მხრივ სპეციფიკური ნაწილის დელეგირება სახელმწიფოში. ამდენად, სრული აბსურდია იმის თქმა, რომ პიროვნების უფლება სახელმწიფო უფლებაზე მაღლა დგას, რასაც ჰელსინკის ანტისახელმწიფოებრივი დეკლარაცია ქადაგებს, რომელსაც ასოცდახუთზე მეტმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, მაგრამ პრაქტიკულად თითქმის არავის შეუსრულებია.

კაცობრიობის დიდი მოაზროვნენი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო საზოგადოებრივი შეთანხმების პროდუქტია, მაგრამ ეს შეთანხმება რაიმე რეფერენდუმზე, ან საერთო სახალხო კრებაზე კი არ მომხდარა, არამედ ათასწლეულების მძიმე და მტკივნეული გამოცდილებით დაიბადა. დღემდე არც თეორიულად და, მით უმეტეს, არც პრაქტიკულად არავის შემოუთავაზებია სახელმწიფოს შემცვლელი სხვა მოდელი, რომელიც საზოგადოებას თავიდან აიცილებდა ხალხის ბრბოდ, ჯოგად, ან სულაც ხროვად გადაქცევას.

სახელმწიფოს უმთავრესი და არსებითი ნიშანია **სუვერენიტეტი**. ტერმინ „სუვერენიტეტის“ განმარტება, ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვისაც კი არ არის აუცილებელი, მაგრამ რაც ამ სუვერენიტეტს უზრუნველყოფს, ის კი უნდა განვმარტო:

1. სუვერენიტეტის უმთავრესი ნიშანია სახელმწიფო ენა. სახელმწიფო ენის უმნიშვნელო დაკნინებაც კი სახელმწიფოს ღირსების შელახვა და ქვეყნის ღალატია. ასე აფასებენ ამგვარ მოქმედებას ნამდვილ სახელმწიფოებში.

ამასთან დაკავშირებით ორ ინფორმაციას მოგაწვდით განსჯისათვის:

საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ახლად არჩეული მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით იტალიაში ჩავიდა. იტალიაში, როგორც დიპლომატიური წესი და რიგი მოითხოვს, ისე დახვდნენ. წესი და რიგი იმას მოითხოვს, რომ სტუმარმა პრეზიდენტმა სიტყვით უნდა მიმართოს დამხვდურებს. ასეც მოხდა და საქართველოს სააკაშვილმა ინგლისურ ენაზე დაუწყო ლაპარაკი იტალიელებს. ორი წინადადების შემდეგ იგი გააჩერეს და ჩვენ პირდაპირ ეთერში ვუყურებდით ჩვენს დიპლომატიურ გოიმობას. რამდენიმე წუთიანი პაუზის შემდეგ სააკაშვილმა ქართულ ენაზე განაგრძო გამოსვლა.

მე, რა თქმა უნდა, არ გამიგონია, რა უთხრეს აკაშვილს, როცა სიტყვა შეაწყვეტინეს, მაგრამ გონივრული ეჭვი მაქვს, ასე ეტყოდნენ: თქვენს სახელმწიფოს საკუთარი ენა არა აქვს და სხვისგან ნათხოვარი ენით გველაპარაკებით, ბატონო სააკაშვილო?!

ახლახან ბათუმში ევროკავშირის მაღალჩინოსნები ჩამოვიდნენ დონალდ ტუსკის ხელმძღვანელობით. მათ დასახვედრად მთელი პოლიტელიტა ბათუმში ჩავიდა. სამივე უმაღლესი მოხელე – პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე მიესალმნენ დონალდ ტუსკსა და მის ამალას და სამივე... ინგლისურ ენაზე!

თქვე მართლა მაღალჩინოსნებო, ქართული ენა ოჯახურ სამზარეულოში გამოიყენება მხოლოდ თუ იგი სახელმწიფო ენაა? ნუთუ ის არის დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფო, რომელსაც თქვენნაირი უმაღლესი ხელისუფალნი ჰყავს?

2. სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი ატრიბუტია კონსტიტუცია, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი უზენაესი, ანუ კანონთა კანონი. ყველაფერი, რაც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში ხდება, ფასდება და განიხილება ქვეყნის კონსტიტუციისა და მასზე დაქვემდებარებულ კანონთა სისტემის მიხედვით. უცხო ქვეყნის სამართალსა და სასამართლოზე აპელირება ქვეყნის სუვერენიტეტის რაღაც ნაწილზე ხელის აღებაა, რაც აკნინებს სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტს და საკუთარი ხალხის ნდობას მისდამი.

აქვე გთავაზობთ თქვენთვის ცნობილ ინფორმაციას განსჯისათვის: ავადმყოფი სატელევიზიო კომპანიის „რუსთავი-2“-ის მიმართ, მისი მიკუთვნებულობის შესახებ პრეტენზიას გამოთქვამდა რამდენიმე ბიზნესმენი. მათმა საჩივრებმა ყველა ინსტანციის სასამართლო გაიარეს და ბოლოს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ ტელეკომპანიის კანონიერ მფლობელად სცნო ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა არ დაეთანხმა საქართველოს უზენაესი (?!) სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმე სტრასბურგის სასამართლოში გაასაჩივრა.

ყველა განაწყენებული მომჩივანი საჩივლელად სტრასბურგში გარბის. ასეთ ვითარებაში რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს საკუთარი ხალხის თვალში სახელმწიფოს? ეს არის სუვერენულობა, თუ ცოლ-ქმარს შორის წარმოშობილ დავასაც კი სახელმწიფო ვერ წყვეტს ცხრა მთას იქით არსებული დაწესებულების თანხმობის გარეშე?

ზურაბ ცუცქირიძე

(დასასრული იქნება)

ბიძინას ბიძინასგან

პოლიტიკური პორტრეტები „სხვა რაკურსით“

(პირველი გვერდიდან)

5) სალომე სამადაშვილი

– ჭეშმარიტ ნაც-ქალბატონს ორი სიტყვით ასე დავახასიათებდი – **„სასოწარკვეთილი არადიასახლისი“**. რატომ „სასოწარკვეთილი“? მოუსმინეთ მის გამოსვლებს და დააკვირდით მის გამომეტყველებას, მის მიმიკებს და... ვფიქრობ, დამატებით რაიმეს თქმა საჭირო აღარ იქნება; რატომ „არადიასახლისი“? – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „დიადი მიზნისთვის“ უწყვეტ ბრძოლაში ჩაბმული, დიასახლისობისთვის ნამდვილად ვერ მოიცლის და რომც მოიცალოს, რა გემო უნდა ჰქონდეს მუდმივად მძიმე განწყობაზე მყოფი ქალბატონის ნახელავ კერძს?

ვხვდები, დაინტერესდით, ეს „დიადი მიზანი“ რაღა არისო. „დიადი მიზანი“ ნეტარი მიშას დაბრუნებაა, რადგან მიშა საქართველოა და საქართველოზე მეტია, რადგან მიშა ყველაფერია... **ზოგადად, „ქალთა სახეები ქართულ პოლიტიკაში“, ფსიქოლოგების კვლევის საგანი უფროა, ვიდრე პოლიტოლოგებისა და ისტორიკოსების. გაიხსენეთ პოლიტიკურ პროცესებში მათი როლი „მრგვალი მაგიდის“ პერიოდიდან დღემდე და კითხვები აღარ დაგრჩებათ.** მე კი აქ წერტილი უნდა დავსვა, რადგან სიღრმეებში შესვლა, ადვილი შესაძლებელია, ჯანმრთელობის ფასად დამიჯდეს, რაც ძალიან არ მინდა.

რაც შეეხება სტრასბურგის სამადაშვილისეულ შეფასებას... შეგიძლიათ, იხილოთ ჩანაწერი, რომელიც კომენტარს ნამდვილად არ საჭიროებს.

6) გიორგი გუგავა

– „ესეც პოლიტიკოსია?“-ს ფაზაში ჩარჩენილი, ჩვენი სიმძიმის ცენტრდაკარგული დროის გმირი, თუ ჩვენი დროის სიმძიმის ცენტრდაკარგული გმირი, დღევანდელობის უნიკალურ მოვლენას, ანუ მოვლინებას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, სამომავლოდ, საქართველოს ისტორიის მუზეუმის უიშვიათესი ექსპონატია. **გათბილისელებული ქუთაისელი სვანი, თავისთავად, ხომ უკვე კოლორიტია და შთამბეჭდავად ჟღერს, მაგრამ ამ კოქტეილს წინ დროშასავით რომ მოუძღვის დიადი შალვას სულით გაჟღენთილი ლეიბორისტის „ამაყი ტიტულიც“, მიხვდებით, მოსიარულე „განძთან“ გვაქვს საქმე.**

ჰო-ო-და, შალვა „ლუბიანკ...“, მაპატიეთ – „ლეიბორისტის“ გამორჩეულმა მოწაფემ, იმ ათას სისულელეში, „ნაცების“ ცნობილი ორი არხიდან რომ იღვრებოდა, ისეთი დააბრეხვა, ასეთ საქმეებში „უნიჭიერესი“ მისი დიდი მასწავლებელიც კი განაცვიფრა და სახტად დატოვა. მათთვის, ვისაც არ მოუსმენია: **ადამიანის შესაძლებლობებს შორს გაცდენილი „ნააზრევი“ ასეთი შინაარსისაა – „ბიძინა ივანიშვილმა „რუსთავი-2“ დავითგარეჯში გაცვალა...“ და მცირე პაუზის შემდეგ – წერტილი, ხოლო გამომეტყველებაში – ძახილის ნიშანი... აი, ასე!** (მაქვს წინადადება, ქართულ სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში, სიტყვა „დააბრეხვა“ განიმარტოს როგორც – გიორგი გუგავას და მის მსგავსთა ნააზრევი).

თუ კარგად დავფიქრდებით, (ეს „იდეა“, თუ „ნოუ-ჰაუ“ გუგავამ შთამაგონა), **იმ აღმოჩენამდე მივალთ, რომ სასაცილოს, როგორც ასეთის, არწყვა, ან გაზომვა, სურვილის შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელი რამაა. ჰოდა, წარმოვიდგინოთ, სასაცილოს ასაწონი სასწორის ერთ პინაზე გიორგი გუგავაა დასკუპებული** – უკვე მაგრად მეცინება, **ხოლო მეორეზე ანეკდოტები სვანებზე, ქუთაისელებზე, თბილისში ჩამოსულებზე, ამას დამატებული შალვას „ნაკვესები“ და სოსო ჯაჭვლიანის „იბიარდი“ და... ძლივს არ გავაწონასწორე?!.**

...ხუმრობა იქით იყოს და როგორც „რუსთავი-2“-ის სანდო წყარომ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ვიწრო წრის ჩურჩულის ფორმატით ჩატარებული სხდომიდან სულ ახლახან გვაცნობა, ელდანაცემ ლადო ჭანტურიას, ოპერატიული ხაზით, **კოლეგა-მოსამართლეებთან (ფორმულით „7-1“), და კიდევ ორ დახურულ მისამართზე, შიფროგრამა უფრენია – „ხომ გაფრთხილებდით, გუგავა მოვაო...“** დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

7) მამუკა გამყრელიძე

– „ნაცმოძრაობის“ ირგვლივ შემოკრებილ ერთკაციან პარტიებს შორის, სიაში დაწინაურების სურვილიდან გამომდინარე, მძაფრი კონკურენციაა გამართული. ამ კენტ-კენტად საცოდავებს ჰგონიათ, თაფლს არიან მისეულები, მაგრამ როგორც ჩემი მეზობელი ბატონი გოგი ირწმუნება – **„თვითონაც კარგად იციან, რომ „ქაქს“ არიან მისეულები, მაგრამ უკვე ისეთ სიღრმეებში არიან შესული, უკან გამოსვლაზე ვერც კი ფიქრობენო“** (ბატონი გოგი კულტურული კაცია, მაგრამ, გარკვეულ შემთხვევებში, „ნაცების“ ხსენებაზე „ქაქის“, როგორც სინონიმის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს).

„სტრასბურგული შუადღის“ მერე, თითქოს მეორე სუნთქვა გამეხსნაო, თემებისა და იდეების მოზღვავებას ვგრძნობ. აი, მაგალითად... **ყველაფერი გენიალური ხომ მარტივია? - მაქვს წინადადება, ამ ე.წ. ერთკაციან პარტიებს, ერთსიტყვიანი, მოკლე და ტევადი სახელი – კაცპარტიები – ვუწოდოთ!**

მაშ ასე, კაც-პარტია მამუკა გამყრელიძე 19 ივლისამდე, ე.ი. სტრასბურგის მეორე დღემდე, მხოლოდ ბლანჟეთი და „ნულზე“ გადაპარსული თავით თუ მიიქცევდა პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანების ყურადღებას. **„ი/პ (იურიდიული პირი) გამყრელიძის“** (ამ სიახლეზეც ვაფიქსირებ ჩემს საავტორო უფლებას) ბიოგრაფიამ, პირადად ჩემთვის, ვერც მაშინ შეიძინა რაიმე ფასეული, როცა გავიგე, რომ გადაცემა „ვის უნდა ოცი ათასის“ წამყვანი იყო (ზემოთ მთელი თავისი „ბაგაჟით“ წარმოდგენილი ბაქრაძე, 10 თუ 20 კითხვას ზედიზედ უშეცდომოდ რომ უპასუხებს, იმ საეჭვო რეპუტაციის გადაცემას, არ მესმის, რატომ უნდა უყუროს კაცმა?)

მოდით, ისევ 19 ივლისს დავუბრუნდეთ, ავანსცენაზე კაც-პარტიებისა და მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელთა გამოსვლების დღეს. პირდაპირ ვიტყვი – იმ სიმაღლეზე თამასა არავის აუწევია, რაც ი/პ გამყრელიძემ მოახერხა. **ევროსასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მისი რამდენიმეწინადადებიანი შეფასება – „წინა ხელისუფლების დროს ხორციელდებოდა უხეში ზეწოლა დამოუკიდებელ მედიაზე, არ იყო გარანტირებული კერძო საკუთრება, სასამართლო არ იყო თავისუფალი და დღეს, ამ ხელისუფლების პირობებში ეს საკითხები მოგვარებულია“** – ფაქტობრივად მეორე სტრასბურგი უნდა ყოფილიყო „ნაცმოძრაობისთვის“, მაგრამ...

რომ ამბობენ, „ყველა თავის მომენტს ელოდებაო“, ამის შესახებ, ეტყობა, კაც-პარტია გამყრელიძესაც აქვს რაღაც გაგებული, მაგრამ, როგორც ჩანს, არავის უსწავლებია, რომ მომენტის გამოყენებას შესაბამისი მომზადება სჭირდება. **მიწაზე რომ ხარ განრთხმული და უცებ მოინდომებ, სამყაროს ღრუბლებიდან გადმოხედო, ის მაინც უნდა იცოდე, რომ ამისთვის ან ფრთებია საჭირო, ან თვითმფრინავი.** ერთ მაგალითსაც მოვიშველიებდი – ი/პ გამყრელიძეს, ბავშვობაში ან მოზრდილობაში, სანამ კაცპარტია გახდებოდა, იგავების კითხვა რომ ჰყვარებოდა, ეცოდინებოდა, რა დაემართა ხართან დატოლებულ ბაყაყს. აფთრებთან დატოლებულსაც იგივე მოუვიდოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ი/პ გამყრელიძემ ვერც „იქიდან“ დაიმსახურა ყურადღება და ვერც „აქედან“, ვერც ისკარიოტელად ივარგა და ვერც ჰეროსტრატედ. ეჰ, გამყრელიძე, გამყრელიძე... ჩემებური მაინც არ იყო... **ყველაფერზე გაფაციცებულ გვარამიასაც რომ გამორჩები მხედველობიდან და იმასაც რომ არავინ წამოგაძახებს – „ოცნების“ მოსყიდული იქნებაო, ის დრია, გუდა-ნაბადი აიკრა და ჰერი-ჰერი მშობლიური მოსკოვისკენ.**

8) ირაკლი ოქრუაშვილი

– ყოფილი პრეზიდენტის ყოფილი მარჯვენა ხელი და კიდევ მრავალჯერ ყოფილი, კარგა ხანია, **ისეთ „პალასაზეა“, რაც მეტს იაქტიურებს, მით მეტ შეცდომას რომ დაუშვებს და რაც მეტს ილაპარაკებს, მეტ სისულელეს რომ იტყვის.** ამაზეა ნათქვამი, კონტროლს აღარ ექვემდებარებაო. მისთვის სასარგებლო რაიმე შედეგის მიღწევის მიზნით ყველაფერზე წამსვლელი კაცისთვის, ძნელია იმასთან შეგუება, რომ მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო პოლიტიკისთვის დიდი ხანია, ჩამოწერილია.

ამას ემატება ისიც, რომ უკვე **მარადიულ ყოფილად განწირული, თვითშეფასების უნარდაქვეითებულების კატეგორიიდანაა, ამიტომ ბოლომდე ვერ ხვდება რატომ, მაგრამ ტანით გრძნობს, რომ გარშემო მყოფებში კეთროვანივით აღიქვამენ, ძველებიც და ახლებიც, ყველასთვის „ჩამოწერილის“ სტატუსის მატარებელია და ეს მდგომარეობა აბორტებს, ბოღმისაგან მზადაა, ირგვლივ ყველაფერი მოსვაროს (მოსპობა და განადგურება ურჩევნია, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის).** „ყოფილს“ გამძაფრებული ცხოველური საწყისი კარნახობს, რომ ორი მიმართულებით ბრძოლა გაუჭირდება და აგერ უკვე ათ წელზე მეტია, რიგრიგობით, ხან ერთ კედელს ეჯახება გამწარებით და ხან მეორეს, მიუხედავად იმისა, რომ შედეგად თვითდაზიანებების მეტი არაფერი მიუღია.

პოლიტიკურ ასპარეზზე ოქრუაშვილი და სხვა მისი მსგავსები, ყველა ობიექტური ნიშნით, აპრიორი დამარცხებისთვის განწირული ფიგურები არიან. რამდენიმე წლის წინ ვწერდი, **ქართული პოლიტიკის მთავარი პრობლემებია – ამპარტავნობა, ანგარება და პროვინციალიზმი.** ამ სამი ნიშან-თვისებიდან ერთიც საკმარისია, პოლიტიკაში ჩართული პირი „ნეგატივის შემოქმედად“ რომ ექცეს ქვეყანას. ჩემი (და არა მარტო ჩემი) დაკვირვებით **ოქრუაშვილის პოლიტიკურ პორტრეტს ხსენებული სამი შემადგენლის „მსუყე ნაზავი“ ქმნის** – უმძიმეს შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ვფიქრობ, ამით არის განპირობებული ის ყოველგვარ ზღვარსგადასული უტიფრობით (ძირითადად ნაღდი და ცრუ „ჩაშვებების“ კომბინირების მეშვეობით) წარმოებული სოლო კამპანია, რომელიც ყველა დამკვირვებელში მხოლოდ გულის რევის შეგრძნებას იწვევს. **ჩვენ წინაშე დგას სრულიად დაუძლურებული მორალური ვამპირი, რომლის ერთადერთი მიზანია** (კონკრეტულ შემთხვევაში), **გადაფაროს სამართლის და სამართლიანობის ზეიმი (და თუკი რამ კარგი შეიძლება არსებობდეს ირგვლივ)** და ქვეყანა, როგორმე, იმ ბილწ ქაოსში ჩატოვოს, რომლის მთავარი შემოქმედიც „რუსთავი-2“ იყო.

როგორც ხედავთ, **ოქრუაშვილი ერთადერთი სახეა, რომლის არაადეკვატურ გამოხტომებზე საუბრის ხუმრობაში გადაყვანის მცდელობაც არ მქონია. რაღაცნაირი, ადამიანის ფორმის ცივი და მშრალი ცოცხალი სხეულია, სულის გარეშე, რომელსაც არც იუმორი ერგება და არც სატირა.**

9) ნინო ლომჯარია

– საახალწლოდ, ნაცმედიასაშუალებები წლის მოვლენებს რომ შეაფასებენ, პირველ ადგილზე, უპირობოდ და უკონკურენციოდ, ჩვენი სახალხო დამცველის 18 ივლისის განცხადება გავა. ყველა დანარჩენ მედიასაშუალებაში (მათ შორის, BBC, CNN და სხვ.), იმავე განცხადებას გარანტირებული აქვს ალალი და უსაყვედურო პირველი ადგილი წლის კურიოზების ნომინაციაში.

თავად განსაჯეთ – აღნიშნულ განცხადებაში, **ქვეყნის ადამიანის უფლებათა მთავარ დამცველს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, ნაცხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, როგორიცაა მკვლელობა, წამება, კერძო საკუთრების ხელყოფა, მედიასაშუალებაზე ზეწოლა, სასამართლოს შეურაცხყოფა და დისკრედიტაციის მცდელობა და ა.შ. სიტყვა არ დაცდენია(?). ვიმეორებ – სიტყვა არ დაცდენია(!).**

მისთვის, თურმე, **„განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლებისა და პლურალისტული მედიაგარემოს დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხი“.** დამეთანხმებით, რომ სტრიქონებს შორის აშკარად იკითხება შემდეგი: **უკანონოდ მითვისებული ტელევიზია პატრონს თუ არ დაუბრუნდებოდა, კარგი იქნებოდა „გამოხატვის თავისუფლებისა და პლურალისტული მედიაგარემოს დაცვისა და უზრუნველყოფის“-თვის(?)** (იმავეს ამბობს, რასაც ბაქრაძე, ოღონდ სხვა სიტყვებით). შემდეგ, **ჩვენც და ევრომოსამართლეებსაც „განგვიმარტავს“,** რომ თურმე **„დემოკრატიულ საზოგადოებაში ჯანსაღ მედიაგარემოს სასიცოცხლო ფუნქცია გააჩნია“.**

განცხადებას ვკითხულობდი და **ვფიქრობდი, როცა ადამიანი მართალი არ არის, სადღაც აუცილებლად დაუშვებს-მეთქი შეცდომას.** ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი... შეცდომების კასკადი და თანაც ერთ, არც ისე გრძელ წინადადებაში (ეტყობა, მთავარ წინადადებად სწორედ ეს ჰქონდა ჩაფიქრებული): „თავისუფალი მედია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა“.

„ომბუდსმენშას“ **შეცდომის მიზეზი ისაა, რომ სახელმძღვანელოდან ამოღებული წინადადება, ისეთი, საზეპიროს რომ ეძახიან, ჩვენთვის საინტერესო კონკრეტულ შემთხვევას მექანიკურად მიაბა.** მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე ან არ დაფიქრებულა, ან იფიქრა, ვინ გამომეკიდებაო. გადავწყვიტე, მე გამოვეკიდო:

ნაცები ისევ მეძებარი ძაღლებივით დასუნსულებენ...

ვიდრე წერილში წამოჭრილი საკითხის გაშუქებას შევუდგებოდე, მინდა პატარა განმარტება გავაკეთო, რათა არავინ იფიქროს, ავსულ ნაცებს პატრიოტობას ჩემი პირადი ახირებით ვაბრალებ. არა, ბატონებო, ისინი ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივითა და სურვილით იბრალებენ მათთვის სანუკვარ პატრიოტობას, ისევე, როგორც საკუთარი უსინდისობითა და გამჭრიახობით ვინმესგან დაუძალებლად აბრალებენ უნიათობასა და მოღალატეობას „ქართული ოცნების“ თავკაცობას. თუმცა, საუბარი ზოგადი და მიკერძოებული რომ არ გამოგვივიდეს, ალბათ, აჯობებს ფაქტებზე დაყრდნობით ვილაპარაკოთ.

კეთილი და პატიოსანი, ვილაპარაკოთ ფაქტების მოშველიებით. მე თქვენ გეტყვით, ისინი სადღაც მოღრუბლულ ცაზე მიმოფანტულან და მოძიება გაგვიჭირდება. ავიღოთ, თუნდაც არცთუ შორეული, მთელ მსოფლიოში სკანდალურად გახმაურებული, საქართველოს დიდად პატრიოტი პრეზიდენტისა და მთავარსარდლის სააკაშვილის მიერ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მოტივით, ჯარითა და ქვემეხებით, ცხინვალში შევარდნის ფაქტი, რომლის გამოც საერთაშორისო სამართალმა საქართველო ომის დამწყებ ქვეყნად ცნო (დოკუმენტს ხელი მოაწერა თავად სააკაშვილმა).

რა თქმა უნდა, სანუკვარ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი მიშნაცები არ დაეთანხმნენ მათთვის არასასურველ განაჩენს და იმის მაგივრად, რუსეთის ანკესზე წამოგებული დამთხვეული სააკაშვილის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული ეღიარებინათ, ენა გადმოაგდეს და თავის მართლება დაიწყეს: აბა, როგორ გინდოდათ, ივანიშვილის მთავრობა ხომ არ ვიყავით, რომ პუტინისთვის გველაქუცა, ოკუპანტი რუსეთის აგრესიას ვაუკაცურად შევებრძოლეთ, მათ ჟანგიან ტანკებს სულ კუდით ქვა ვასროლინეთ და გავიმარჯვეთო. აკი სააკაშვილმა აზეიმა კიდეც ხალხს ეს უჩვეულო „გამარჯვება“, რომელიც საქართველოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, კოდორის ხეობისა და ახალგორის რაიონის დაკარგვად, ათეულობით სოფლის ნაცარტუტად ქცევად (სააკაშვილმა ისინი ქვების გროვად მოიხსენია) და ათასეულობით მოქალაქის დევნილობა დაუჯდა. აბა, დავითვალოთ, ღირდა კი ამდენ ზარალად და დანაკარგად ქოსატყუილა ნაცების ვითომ გმირობად გასაღებული ურაპატრიოტიზმი?!

ერთი რამ ცხადია, სატანა ნაცები იფიცებიან, ქვეყნის აღმაშენებლები ვართო და საქართველოს დასაქცევად ისეთ გამყიდველურ, ვერაგულ საქმეებს სჩადიან, მათი მოფიქრება და შესრულება ჩვენს უსასტიკეს მტრებსაც გაუჭირდებოდათ. დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ სახელით მონათლული „პატრიოტები“ მთელ საქართველოში მეძებარი ძაღლებივით დასუნსულებენ, რათა მოაწყონ არეულობა, პროვოკაცია თუ პუტჩი. ამის მაგალითი აგერ ახლახან არ ვიხილეთ, როცა ავანტიურისტმა ნაცებმა რუსი გავრილოვის კობახიძის სკამში ჩაჯდომა ხალხის აბუნტების საბაბად გამოიყენეს და ლამის სახელმწიფო გადატრიალება მოგვიწყვეს. არაო, დედ-მამის სულს იფიცებიან ნაცბელადები, ჩვენ ხელისუფლების დამხობა კი არა, აღშფოთებული ხალხის დამშვიდება გვინდოდა და ამ მიზნით ვეთათბირებოდით დემონსტრანტებს, მაგრამ ჯალათმა გახარიამ არ გვაცალა, ხალხს ტყვიები დაუშინა და მშვიდობიანი მომიტინგეები სულ სისხლის მორევში აცურავაო. არადა, რომ არა გახარიას ვაუკაცობა და ოპერატიულობა, არავინ უწყის, ბოკერიები, უგულავები, მელიები თუ ბობოხიძეები, დღეს რომელი სახელისუფლებო ინსტიტუტის სავარძლებში იქნებოდნენ წამოსკუპებულები!

რადგან გადატრიალება არ გამოუვიდათ, სატანა ნაცებმა სხვა უბინძურეს ხერხს მიმართეს და რუსეთისა და პუტინის საგინებლად სააკაშვილის ტელებორდელის სოლისტი გაბუნია დაგეშეს. უფროსობის დაკვეთით გახალისებულმა პატრიოტმა ჟურნალისტმა (თუ მას ჟურნალისტი შეიძლება ვუწოდოთ), რა თქმა უნდა, თავი გამოიჩინა და ადამიანური ზნეობის ყოველგვარი ნორმის დარღვევით პუტინს მკვდარცოცხალი ამოუტრიალა. ნაცები ვარაუდობდნენ, რომ აგრესორი იმპერიის მმართველს წონასწორობიდან გამოიყვანდნენ, საქართველოს სანიმუშოდ დაასჯევინებდნენ და ამით აღფრთოვანებულნი თავად დავლურს ჩამოუვლიდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. პუტინი, როგორც დიდი ქვეყნის გონიერ ლიდერს შეეფერება, ქართველი ექსტრემისტი ნაცების ბინძურ პროვოკაციას არ წამოეგო, სახელმწიფო სათათბიროს მიერ შეთავაზებულ დადგენილებას, რაც ქართული ღვინისა და მინერალური წყლების ემბარგოსთან ერთად ფულადი გადარიცხვების აკრძალვასაც ითვალისწინებდა, ხელი არ მოაწერა და ჩვენი „პატრიოტი“, ძაღლთაპირი ნაცები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა. არადა, პუტინს რომ გონიერება არ გამოეჩინა, ხომ წარმოგიდგენიათ, ხსენებულ ემბარგოს საქართველოსთვის რა დამღუპველი შედეგი მოჰყვებოდა: პროდუქციის გაუტანლობის გამო გაკოტრდებოდნენ ღვინის საწარმოები, უშემოსავლოდ დარჩებოდნენ და დაიმშეოდნენ გლეხები, რუსეთიდან გამოგზავნილ მარჩენალ თანხებს დაკარგავდნენ ათეულათასობით ოჯახები, ქვეყანაში დაიწყებოდა სოციალური ბუნტი, რასაც სულის კაწკაწით ელოდნენ ჩვენი მოღალატე ნაცები, რომლებიც ყოველივე ამას უნიათო, კოჰაბიტირებულ მეოცნებე ხელისუფლებას დააბრალებდნენ და სანუკვარი სახელმწიფო გადატრიალებისთვის სამზადისს გაათმაგებული ენერგიით შეუდგებოდნენ.

მათი ქმედებიდან კარგად ჩანს ჩვენებური ნაცები, გნებავთ „ტრადიციული“ და გნებავთ, შემდეგ „გაევროპელებული“ ქვეყნისა და ხალხისთვის როგორი თავდადებული „პატრიოტები“ გახლავან. მათ ოღონდ თავიანთი ბინძური მისწრაფებები დაიკმაყოფილონ და ქვეყანა სულაც ერთ ადგილზე ჰკიდიათ. ეს აკი ვერც დამალა სააკაშვილის ფელდმარშალმა ნიკუტა გვარამიამ, როცა ემბარგოს მოლოდინით დაზაფრულ მეღვინეებს სამშობლოს გამყიდველები უძახა: „იმიტომ უნდა ვიძახოთ „პუტინი კარგიაო“, რომ ეგ თქვენი ბორჯომი და ღვინო რუსეთში გაყიდოთ? ჩაგიფსით ბორჯომშიც და ღვინოშიც“! პირთახსირ გვარამიას არ მოსწონს პუტინის ქება, მაგრამ იმას აღარ ამბობს, თვითონ რატომ აგინებს ასეთი თავგამოდებით, იმიტომ ხომ არა, რომ ამათი მყვირალა „პატრიოტიზმი“ მათი შემოსავლების პირდაპირპროპორციულია?! აი, მაგალითად, უტიფარი და ავყია გიორგი გაბუნია ამ უზნეობისთვის თვეში სულ ცოტა 15 ათას ლარს იღებდა, მიშა მშვილდაძე — 30-35 ათას ლარს, ხოლო მათი თავკაცი (იყო და აღარ არის თავკაცი) გვარამია 80 ათას ლარსაც არ სჯერდებოდა და შიგადაშიგ დანაკლისს პრემიებით ივსებდა. აი, ასეთი შინაარსისაა მათი პატრიოტული წკავწკავი, რომელიც იზომება არა ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით, არამედ არმისმხვეჭელი ჯიბის სიმსუქნით.

კარგია და მისასალმებელი, რომ ნაცების მიერ დაბინძურებული ჰაერი ერთგვარად გაწმინდა სტრასბურგის ევროპული სასამართლოს 18 ივლისის გადაწყვეტილებამ, რომელმაც საერთაშორისო პოლიტიკური და მორალური განაჩენი გამოუტანა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებს — ადამიანთა საკუთრების მიტაცებას, პატიმართა წამება-გაუპატიურებას, მედიასაშუალების უზურპაციას და თავისუფალი აზრის ჩახშობას, მძიმე დანაშაულის მსხვა უამრავ ფაქტს, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდა ნაცების მიერ შეთხზულ ევროპულ მმართველობასთან. მთელი სანაცეთის „დამსახურების“ მსოფლიოს თვალწინ გამოფენა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ სახელმწიფო გადატრიალების მოთავე ნაცბელადები, რომლებიც სამართალდამცავებს იმ ღამითვე უნდა „გაესკვანჩათ“, დღემდე ქუჩაში ღიღინით დასეირნობენ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სოციალურმა დაძაბულობამ გადაიარა და ქვეყანას საფრთხე აღარ ემუქრება, ძალიან ცდება. სანამ სააკაშვილის კრიმინალური ბანდა რჩება ხელუხლებელი და კოჰაბიტირებული, დამნაშავე მთელი სიმკაცრით არ დაისჯება, ეს კრიმინალური ხროვა ყოველთვის იქნება სახელმწიფოს თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილი.



მაშ, რაღას უცდის „ოცნების“ ხელისუფლება, იმას რომ ოცნებადაკარგულ ხალხს ბოლო იმედიც დააკარგვინოს?! იმედი ხომ ჩვენი ღატაკი ხალხისთვის ყველაზე იაფი საკვებია!

ოთარ ხუციშვილი

ყველა ობიექტური ანალიტიკოსის **მოსაზრებით, „ნაცობა“ პარტიულობა არაა, „ნაცობა“ მენტალობაა.** „სულიერი“ ერთობა რომ არა, ამხელა პასუხისმგებლობის ადამიანმა, ჯერ როგორ უნდა დააიგნორო ევროსასამართლოს დოკუმენტის მთელი ძირითადი ნაწილი და მეორე — **როგორ უნდა თქვა სააკაშვილ-გვარამიას ტელევიზიაზე, რომ „თავისუფალი მედიააო“; რომ „რუსთავი-2“ ქვეყანაში „ადამიანის უფლებების დაცვის პირობა“ შეიძლება ყოფილიყო, ან შეიძლება იყოსო; რომ ეს დეზინფორმაციის, ტყუილის, ცილისწამების, შეურაცხყოფის და ამბოხებების მომზადების „იარაღი“, თურმე, „კარგი მმართველობის ხელშეწყობის პირობაც“ ყოფილა** (ალბათ, წინა მმართველობაც იგულისხმა, დღევანდელთან ერთად).

განსხვავებული აზრი და პლურალიზმი ამათ ის ჰგონიათ... კი არ ჰგონიათ, უნდათ, რომ ასე „შემოგვასაღონ“, **ხელისუფლება თუ იტყვის „მაწონი თეთრიაო“, „თავისუფალმა მედიამ“ უნდა ატეხოს გნიასი, შეგინება-დაგინებების თანხლებით — „არა, შავია, შავიაო...“** და თუ იტყვის „ორჯერ ორი ოთხიაო“, ყველა „პროფესიონალმა“ ჟურნალისტმა, „გულანთებულების“ მიერ „სახელდახელოდ“ მომზადებული ბანერის ფონზე — „გადადგეს განათლების მინისტრი“ — ყველა „პროდასავლელს“ უნდა მოუწოდოს სასწრაფო მობილიზაციისკენ, პარლამენტის „მშვიდობიანი“ შტურმით აღების მიზნით — „ეს პასუხი ხომ ცხადზე უცხადესი რუსული ნარატივია, რადგან ორჯერ ორი ყველა რიცხვია, ოთხის გარდა, რადგან პუტინი და მთელი რუსეთი ამ პოზიციას იზიარებენო“.

ღმერთო, შენ დაიცავი საქართველო, თორემ ამ „დამცველის“ იმედზე, ყოვლად ცინიკური სახელი — „სახალხო“ რომ ჰქვია, ჩვენი მტერი იქნა.

* * *

ბატონო ბიძინა, პრინციპულად არ ვიზიარებ მოარულ აზრს, რომ პოლიტიკა ბინძური თამაშია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ბინძურად მოთამაშე გაცილებით მეტი მინახავს, ვიდრე პოლიტიკის წესების პატივისმცემელი. გამოცდილებამ გვასწავლა, რომ ბინძური თამაში კერძო ინტერესის თამაშია და მთლიანად აცდენილია სახელმწიფო ინტერესს. ანუ სხვისი, ანუ ვინც ისარგებლებს, იმის პოლიტიკაა.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ამ დამოკიდებულებით ხართ ჩართული ამ ურთულეს „ბრძოლა-თამაშში“. არ ვიცი, თქვენი სტრატეგია დროის რა პერიოდზეა გათვლილი, ამიტომ, ვფიქრობ, მეც და „ოცნების“ სხვა გულშემატკივრებმაც ჩვენი შეხედულებები და რეკომენდაციები უნდა გაგიზიაროთ ყოველგვარი დედლაინების განსაზღვრის გარეშე, დაახლოებით ასეთი ფორმით — რაც მალე, მით უკეთესი. მთავარია, ვთანხმდებოდეთ პრინციპულ საკითხებზე და პრინციპულ შეფასებებში.

მინდა, გაგიზიაროთ ჩემი, ერთი რიგითი მოქალაქის დაკვირვება 18 ივლისის სოც-აღქმასთან (თუ შეიძლება ასე ითქვას) დაკავშირებით. ქალაქში, აშკარად, უფრო თავისუფლად ისუნთქება. მთლად ისე არა, როგორც შვიდი წლის წინანდელ 2-3 ოქტომბერს, მაგრამ ფაქტია, რომ ჰაერი უფრო დაწმენდილია. იმის თქმა მინდა, რომ თქვენს მიერ შარშან შეპირებული ახალი გარდატეხისთვის კარგი ფონია შექმნილი, რაც იმედია, დაგეხმარებათ გეგმების წარმატებით განხორციელებაში.

სტრასბურგისგან მონაბერმა ქარმა უფრო მძლავრად დაატრიალა პოლიტიკური მორევი და ზედაპირზე კიდევ ერთხელ ამოიტანა ჭუჭყი და ნაგავი. ამ წერილის მიზანიც ის არის, რომ როგორც საზოგადოების პასუხისმგებლიანმა წევრმა, კიდევ ერთხელ დაგანახოთ, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე. ქვეყანა სიბინძურისგან დროულად თუ არ გაიწმინდება, ანტისანიტარია წაგვლეკავს.

მუდმივი დაძაბულობისა და მუდმივი შოკის პირობებში ცხოვრება გაუსაძლისი ხდება: „ვაიმე, ესენი არ მობრუნდნენ“, „ვაიმე, გრიშამ არ მოიგოს“, „ვაიმე, ზუგდიდი არ წავაგოთ“, „ვაიმე, პარლამენტში არ შეცვივდნენ“, „ვაიმე, პუტინი...“, „ვაიმე, ბაზარი...“, „ვაიმე... ვაიმე... ვაიმე...“ ნერვული უჯრედების აღდგენა არ ხდება და რატომ უნდა გვიმოკლებდეს სიცოცხლეს ჩვენ მიერ არჩეული ხელისუფლება, არ მესმის.

ერთსაც ვიტყვი: 20 ივნისი სააკაშვილის დროს რომ მომხდარიყო, ამბოხში მონაწილეობის ბრალდებით 500 კაცი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნებოდა მიცემული, 1000 — ადმინისტრაციულში, ხოლო აქციის მონაწილე ყველა და ზოგიერთი არამონაწილე პოლიტიკოსი, ამბოხის ორგანიზებისთვის იქნებოდნენ ბრალდებული. და ეს ის შემთხვევაა, როცა „ოცნება“ სიამაყით ვერ იტყვის, რომ „ჩვენ „ნაცები“ არა ვართ. ერთადერთი განსხვავება ის შეიძლება იყოს, რომ დასასჯელთა რაოდენობები შეიძლება საგრძნობლად შეიკვეცოს.

ნუ იფიქრებთ, იქით „მოსაკითხები“ აქეთ რომ არიან გადმოსული შეტევაზე, ვინმესთვის თქვენი „სიძლიერისა“ და „კეთილშობილების“ მანიშნებელი იყოს. პირიქით... და რადგან პირიქით, ისიც გახსოვდეთ, რომ პოლიტიკაში სუსტი არავის უყვარს, სუსტს პატივს არ სცემენ.

დასასრულ, მკითხველს მინდა, ვთხოვო — ძილის წინ, ფიქრებში იმის მოდელირება სცადეთ, რა იქნებოდა, პარლამენტში შეჭრა წარმატებით რომ განხორციელებულიყო... მენდეთ, ამის მერე დაძინებას თუ მოახერხებთ, მთელი ღამე კოშმარები არ მოგასვენებთ. ამიტომ, ამ ჭრილში ვცადოთ იმის გააზრება, რა მძიმე დანაშაულის ჩადენის მცდელობასთან გვქონდა საქმე(!).

„ქართულო ოცნება“, მოქმედების დროა. გვახსოვდეს, ძლიერი სახელმწიფოს შენების ფუნდამენტი სამართლიანობაა.

ბიძინა დვალი

ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ - 80

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ **და აღიარებულ მეცნიერს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔᲡ დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, აქედან 55 წელი სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას მიუძღვნა.**

ბატონი გურამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განვლილი პერიოდი აღსავსე იყო მრავალმხრივი შემოქმედებითი დიდი მიღწევებით მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, რამაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა.

ბატონი გურამ ალექსიძე დაიბადა 1939 წლის 30 ივლისს ქ. თბილისში მეცნიერის ოჯახში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის მცენარეთა დაცვის სპეციალობის წარჩინებით დამთავრების (1962 წ.) შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, აგროტოქსიკოლოგიის ხაზით. 1966 წელს, 27 წლის ასაკში დაიცვა საკანდიდატო, ხოლო შემდეგ, 1975 წელს (36 წლისამ) სადოქტორო დისერტაცია, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს საქვეყნოდ აღიარებულმა და თვალსაჩინო მეცნიერებმა. მისი სადოქტორო დისერტაცია, რომელშიც გამოვლინდა დისერტანტის დიდი მეცნიერული ალღო, უნარი და ინოვაციური მიდგომები, საფუძვლად დაედო მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სფეროში ახალ თეორიულ და მეცნიერულ მიმართულებას.

აკად. გ.ალექსიძე წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, 1973 წლიდან იგი საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელია, შემდეგ დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. ამ დროს სრულად გამოვლინდა მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი და პროგრესული მიდგომები რთული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტაში.

აკად. გ.ალექსიძე 1983-1987 წლებში მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში — ქ. ვაშინგტონში, საბჭოთა კავშირის საელჩოში მცენარეთა დაცვისა და კარანტინის ექსპერტად, როგორც საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი. ამ პერიოდში მიღებული აქვს საბჭოთა კავშირის ელჩის სამი ოფიციალური მადლობა.

აკად. გ. ალექსიძე 1995 წლიდან მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივნად, 2004 წლიდან ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 2013 წლიდან დღემდე მუშაობს აკადემიის პრეზიდენტად. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება აკადემიის მოდერნიზაციისა და მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის გაღრმავების ღონისძიებანი. კერძოდ, გაფართოვდა და განმტკიცდა მეცნიერებათა აკადემიისა და შეაბამისად, ქართველ მეცნიერთა კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნების დარგობრივ აკადემიებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან და ინსტიტუტებთან, მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში ჩატარდა 6 საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა საქართველოს აგრარული მეცნიერების ავტორიტეტი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი გურამის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. წლების განმავლობაში, შეთავსებით, იყო სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან მიწვეული წევრი.

აკად. გ. ალექსიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. 1983-1987 წლებში იყო ამერიკის ენტომოლოგთა და ფიტოპათოლოგთა საზოგადოების წევრი, 2015 წლიდან არჩეულია ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის თავმჯდომარედ (CACAAR), 2015-2016 წლებში იყო FAO-ს ტროპიკული სოფლის მეურნეობის პროგრამის (TAP) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, აგრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIR) ფონდის საბჭოს წევრი; ამჟამად არის ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების BETA (ჭარხლის) სამუშაო ჯგუფის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, ევროპის გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორი საქართველოში (2000-2016 წლები); 2018 წლიდან არჩეულია ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ვიცე-პრეზიდენტად.

ბატონი გურამის საზღვარგარეთ სამეცნიერო სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობა, თანაც ხელმძღვანელის რანგში, საფუძველს გვაძლევს, ვთქვათ, რომ იგი სრულად მიესადაგება ცნობილ გამონათქვამს „იმაზე დიდი მეცნიერება არ არსებობს, ვიდრე სახელი გაუთქვა საკუთარ მამულს“.

აკად. გ. ალექსიძე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალი ტექნოლოგიების საბჭოსა (2016-2017 წ.წ.) და ეკოლოგიური კომისიის წევრი (2007 წლიდან დღემდე) და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

აკად. გ.ალექსიძეს გამოქვეყნებული აქვს 230-ზე მეტი მაღალი მეცნიერული ღირებულების სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 12 წიგნი, 5 მონოგრაფია და 10-ზე მეტი ბროშურა, მათგან 80 საერთაშორისო მაღალრეიტინგულ გამოცემებსა და ჟურნალებში. მისი სამეცნიერო ნაშრომების უმეტესობა აღიარებულია ბაკალავრთა, მაგისტრანტთა, დოქტორანტთა და მეცნიერთათვის სამაგიდო წიგნებად.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სამეცნიერო შრომები, რომლებიც ეხება აგროცენოზებში გავრცელებულ მავნე და სასარგებლო მწერების (ტკიპების) ურთიერთდამოკიდებულებაში მათემატიკური მოდელირების სისტემების გამოყენებას; ის აღიარებულია, როგორც ახალი მეცნიერული მიმართულება.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ბატონი გურამის წარმატებული მოღვაწეობა აგრობიომრავალფეროვნების პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა და გამოიცა (2015 წ.) ავტორთა კოლექტივის კაპიტალური ნაშრომი „საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება (კატალოგი), ოთხ (ქართულ, ლათინურ, რუსულ და ინგლისურ) ენაზე. ამ ნაშრომს დიდი აღიარება და მოწონება ხვდა წილად საქართველოს ფარგლების გარეთაც.

აკად. გ.ალექსიძე დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლებას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, მათ შორის არიან უცხოელი დისერტანტებიც.

აკად. გ.ალექსიძე დაჯილდოებულია: „შრომის წარჩინებულის“ მედლით (1982 წ.), „ღირსების“ ორდენით (1999 წ.), საერთაშორისო ორგანიზაციების CGIAR და ICARDA მიერ ორჯერ (2005 და 2008 წლებში) „ვერცხლის დიდი მედლით“, საერთაშორისო კვლევებში შეტანილი წვლილისათვის. მიღებული აქვს ნ. ვავილოვის სახელობის მედალი (2013 წ.), აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრონომიის დარგში (2015 წ.), საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის საპატიო სიგელი აგრარულ მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის (2016 წ.), სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი აგრარული დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის (2017 წ.). 2018 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დააჯილდოვა საპატიო სიგელით, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

აკად. გ.ალექსიძე ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო და აღიარებული მეცნიერია, სარგებლობს დიდი ავტორიტეტით, მის კომპეტენტურ სიტყვას აფასებენ და ანგარიშს უწევენ. იგი ამჟამადაც დიდი შემართებითა და ენთუზიაზმით განაგრძობს ნაყოფიერ და სასარგებლო სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

გულითადად ვულოცავთ ბატონ გურამს ღირშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ დღეგრძელობას, ყოველივე სიკეთეს და წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲜᲣᲡᲮᲐ ᲕᲔᲠ ᲗᲐᲕᲡᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით გულითადად ვულოცავთ ღირსეულ მამულიშვილს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔᲡ 80 წლის იუბილეს და მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავს.**

გურამ ალექსიძე ქართული სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის დამსახურებათა ნუსხა ვერ თავსდება ჩვეულებრივი მილოცვის ფარგლებში.

ბატონი გურამის, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის მოღვაწეობა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ასაკში დაიწყო და დღემდე დიდი წარმატებით გრძელდება. მან 1975 წელს, 36 წლისამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც საფუძვლად დაედო მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სფეროში ახალ თეორიულ და მეცნიერულ მიმართულებას.

აკად. გ. ალექსიძე წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე, რა დროსაც სრულად გამოვლინდა მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი და პროგრესული მიდგომა რთული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტისადმი.

1995 წლიდან დღემდე აკად. გ. ალექსიძე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მოღვაწეობს, ხოლო 2013 წლიდან აკადემიის პრეზიდენტია. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება აკადემიის მოდერნიზაციისა და მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის გაღრმავების ღონისძიებები და ჩატარდა არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა საქართველოს აგრარული მეცნიერების ავტორიტეტი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი გურამის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობა. იგი წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, მათ შორის არიან უცხოელი დისერტანტებიც.

აკადემიკოს გურამ ალექსიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდაა ცნობილი და აღიარებული არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. მას გამოქვეყნებული აქვს 230-ზე მეტი მაღალი მეცნიერული ღირებულების სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა უმეტესობა ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და მეცნიერთათვის სამაგიდო წიგნებადაა აღიარებული.

მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის აკად. გ. ალექსიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მრავალი მედლითა და სიგელით.

ეს ძალზე მოკლე და არასრული ნუსხაა გურამ ალექსიძის, როგორც მოქალაქის, მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობისა. ის დღესაც ჩვეული შემართებითა და ენთუზიაზმით განაგრძობს ნაყოფიერ და სასარგებლო სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას, დაუღალავად უზიარებს ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს, ეხმარება მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში, პროფესიულ თუ ცხოვრებისეულ ორიენტაციაში.

80 წელი მეცნიერისთვის სრული მოწიფულობის ასაკია, სავსე უამრავი ჩანაფიქრითა და იდეით, რომლებიც ხორცშესხმას მოითხოვს.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ აკადემიკოს გურამ ალექსიძეს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, რათა ჩვეული მხნეობითა და შემართებით იღვაწოს ქართული მეცნიერებისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

829

გულზე ამაყად ჰკიდიათ ფასის ეტიკეტები, რომელ ფასადაც იმათ ვერ იყიდით.

830

„ადამიანებს გავურბივარ, – ამბობდა ერთი იმათი მეგობარი, – რათა ცუდი არაფერი დავმართოო“.

831

ყველაზე დიდი ზარის თოკზე ჩამოიხრჩო თავი, რა არის ზარს მთელი ქვეყანა შეეყარა.

832

განა შეიძლება რომ კაცი ოპტიმისტი არ გახდე? ჩემი მტრები – ისევ და ისევ! – სწორედ ისეთი ღორები გამოდგნენ, როგორც განვჭვრიტე.

833

„მე ხვალინდელი დღის პოეტი ვარ“, – თქვა იმან. „მაგის თაობაზე ზეგ ვილაპარაკოთ“, ვუპასუხე მე.

834

სიგრძნე თავზე საყრელი უნდა იყოს, ისე ცოტა ვინმე იყენებს.

835

კაციჯამიეგთან ნუ ქეიფობ: ვაითუ საინზე აღმოჩნდე.

836

ვთქვათ, მართლაც გაანგრიე თავით კედელი. მერედა, რა უნდა ქნა მეზობელ საკანში?

837

ანონიმური წერილი დასაშვებია, ოღონდ თუ მართალი არავის დაუწერია.

838

რანაირი მდიდარი უნდა იყოს სახელმწიფო, რომ ნახევარი მოსახლეობისგან პოლიცია ჩამოაყალიბოს, ხოლო მეორე ნახევარი ციხეებში აცხოვროს თავისი ხარჯით?

839

„ეპოქა ძილში გამოეპარა“, – მითხრეს მავანსა და მავანზე – „მშვიდად ეძინა?“ – ვკითხე მე.

840

შეიძლება რომ ღმერთს პატივსა სცემდე და სულაც არა გჯეროდეს, რომ არსებობს.

841

საშინელია ეპოქის სუნთქვა, რომელ ეპოქაშიც ვერ სუნთქავ.

842

რომელი ჩიხიდანაც გამოსვლა შეიძლება, ჩიხი არ არის.

843

სინდისი ხან საკუთარი ქენჯნიდან ჩნდება.

844

ცხოვრება იმდენად მძიმეა, რომ დამძიმება აღარ უნდა.

845

ადამიანის ტვინი სულ უფრო მძიმდება. პირდაპირ მაკანკალებს, როცა გავიფიქრებ ხოლმე, რომ სწორედ ტვინს უჭირავს ასე ამაყად ადამიანი ვერტიკალურ მდგომარეობაში.

846

მწამს ადამიანის გენია. დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე უჩინმაჩინობას შევიძლებთ და ყოველივე უჩინარს დავინახავთ.

847

მთავარია, რომ გაღლინჯოები ძილში არ შეძვრნენ.

848

„თავი მაღლა!“ – უთხრა ჯალათმა და ყულფი ჩამოაცვა.

849

ტირანის აქილევსის ქუსლი, როგოც წესი, ჩექმაშია დამალული.

850

ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ უფროსების განკარგულებით ვიღაც ცხოვრობს ჩვენში.

851

განმტკიცება უჭირთ ქვეყნებს, რომელთა დასაბამი არის მხოლოდ სიტყვები, სიტყვები, სიტყვები.

852

როგორია სახელმწიფოს ფუნდამენტი, იმის მიხედვითაც შეიძლება გარკვევა, თუ როგორ თრთიან მცხოვრებნი.

853

აი, სიუჟეტის ოსტატი! ჩემი ცხოვრების ამბავს ისე მიყვებოდა, რომ თავზარდაცემული ველოდი: აი, დაამთავრებს თუ არა, მეც არსებობას შევწყვეტ-მეთქი.

854

სამწუხაროა, როცა ხერხემალი მხოლოდ ჯვარზე სწორდება.

855

ერთი ადამიანის სიცოცხლე ხან მეორის სიკვდილით მთავრდება.

856

სადაც სიცილი აკრძალულია, იქ ჩვეულებრივ არც ტირილი შეიძლება.

857

მომავალში ეს ქვეყანა უგასაღებებოდაც იოლას წავა, ძალიან მინდა, რომ ამ ამბისთვის გასაღების ჭუჭრუტანიდან მაინც მეცქირა.

858

მე საზოგადოებრივი ყურადღების სფეროდან კერძო ცხოვრების ამოღების მომხრე ვარ.

859

მთელი ცხოვრება შრომაში გადის, სისულელესაც კი „კეთება“ უნდა.

860

ნუ აძაგებ ადამიანს მისთვის გაუგებარ ენაზე. ეს საიდიზმია.

861

უნდა ადგე და შენი ოცნება მტრებს შეაპარო, იქნებ იმის ხორცშესხმაში წაიმტვრიონ კისერი.

862

ნუ დაიძვრები მკვდარი წერტილიდან ცოცხლების ხარჯზე.

863

ხან სიმართლე კონტრაბანდად შეაქვთ ისეთ ქვეყნებში, სადაც ის ნაკლებად ფასობს. რა მოგებაა ვითომ?

864

ვინც ზრდაში ეპოქას გაუსწრო, ხშირად თავჩაქინდრული დადის.

865

გეშინოდეთ იმ ბოტანიკოსებისა, რომლებიც ამტკიცებენ, ხე ცნობადისა ბოროტების ფესვებს აჩენსო.

866

ადამიანის სიცოცხლე მოკლეა. ქვეყნის გამტარუნარიანობა შეზღუდულია.

867

აქვთ თუ არა იდეალები იმათ, ვინც ისინი სხვებს წაართვა?

868

ყალბ ფულს, რომელსაც ყველგან ნამდვილ ფულად იღებენ, აუცილებლად გაუჩნდება კომპლექსი: არავის არ აკვირვებს, ვინაიდან უზადოდ ყალბია.

869

სისულელე არასოდეს არ გადადის საზღვარს. საცა მივა, იმისი წყალ-ადგილიც იქ არის.

870

მინახავს იდეალური თეჯირები, რომლებიც თავიანთ თავს ეფარებიან.

871

მომჯირნე იყავ, ყველა შენს სიზმარს ერთი დეკორაცია აკმარე.

872

საწყალი დედამიწა, ყველა ჩვენგანის ჩრდილი სულ იმას ეცემა.

873

ადამიანები ცრურწმენების მონები არიან, თუმცა გამოსყიდვა შეიძლება. უშუალოდ თვითონ მონებს უნდა გადაუხადო.

874

ვინც ზღვასთან მხოლოდ ფეხების დასასველებლად მივიდა, ბევრ იმათგანს კოლუმბობა მოუხდა.

(გაგრძელება იქნება)

დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამოცანა სწორად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139, 142-147, 151

ლარი როდემდე ვერ გაიტანს ლარს...

ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე გაუფასურებული

ქართულ-რუსული ურთიერთობების ოდნავი გამოსწორების ნიშანიც არ ჩანს, ისე, როგორც ლარის კურსის გამყარება. არადა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბოლო ორი ნათქვამიდან, რომელიც ამ ურთიერთობების დარეგულირებას ეხება, ვერც ერთმა ვერ იმოქმედა ხელისუფლებაზე, ოპოზიციაზე — ნაცურზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მათი მიზანი მარტივია — ხალხის სოციალური პირობების გაუარესება, ქუჩაში გამოსვლა და ხელისუფლების დამხობა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მყისიერი გაუარესება და ლარის კურსის დაცემა პირდაპირ კავშირშია რუსეთთან და რუსეთის პრეზიდენტის პუტინის განკარგულებასთან — ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლისა და ტურიზმის შეჩერებით. ლავროვმა ისიც თქვა, რომ თუ შეწყდება ქვეყანაში მოჭარბებული რუსოფობიური ისტერიკა, აღდგება საჰაერო მიმოსვლა და ტურისტული ნაკადი.

საქართველოში ბევრს, მათ შორის ვისაც ჭკუა უნდა მოეკითხებოდეს, სჯერა, რომ პუტინის გადაწყვეტილება მიმართულია საქართველოს ეკონომიკის დასაცავად, რაც შორს არის ჭეშმარიტებისგან. პუტინს, რომ საქართველოს ეკონომიკის განადგურება ნდომებოდა, უმალ გაიზიარებდა რუსეთის დუმის მკაცრ გადაწყვეტილებას საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით. პუტინმა უარყო დუმელთა წინადადება. არადა, **„რუსთავი-2“-ის „ჟურნალისტის“ უხამსი შეურაცხყოფის შემდეგ,** შეეძლო დუმის წინადადების გაზიარება — ამას დუმის უკლებლივ ყველა წევრი მოითხოვდა.

ქართულმა პოლიტიკამ, ნაცვლად დაფიქრებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანისა, პუტინის მოქმედება **„მათრახისა და თაფლაკვერას“** პოლიტიკას შეადარა და ახალი შემართებით გააგრძელა რუსეთის ლანძღვა. ამ „კეთილშობილურ“ საქმეში პირველობას ვერვინ წაართმევს ნაცმოძრაობას და მის მიერ დაჩეკილ პარტიებს, ჟურნალისტიკას, არასამთავრობო სექტორს, საზოგადოების ნაწილს — ერთობ აგრესიულს და რუსოფობიით გაჟღენთილს.

როგორც ჩანს მათ სულაც არ ანაღვლებთ მძიმე სოციალური ვითარება, ლარის კურსის დაცემა, საწვავზე, კვების პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების კატასტროფული ზრდა. ანდა როგორ უნდა აწუხებდეთ, როდესაც „რუსთავი-2“-ის „საამაყო“ ჟურნალისტების, „საამაყო“ ხელმძღვანელის გვარამიას დროს ხელფასი თვეში 15 ათასიდან 80 ათასამდე ადიოდა, ხანდახან მეტზეც. ვიმედოვნებ, ახალი მენეჯმენტის პირობებში მსგავს ღორმუცელობას დამშეულ ქვეყანაში, სადაც პენსია კვირის ბოლომდე რომ გაგყვეს — ეკვილიბრისტიკის მოშველიებაა საჭირო, წერტილი დაესმება.

მსგავსი თვიური ხელფასებით და პრემიებით არიან გათავხედებული მარეგულირებელი კომისიები, ვითომ არასახელმწიფო სტრუქტურები, სადაც, როგორც ნაკრძალში, ისე გრძნობენ თავს სახელმწიფოს მაღალი თანამდებობებიდან დათხოვნილი მოხელეები, მათი ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები.

გაფხეკილი ბიუჯეტის მქონე ხელისუფლება პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს ყოველი თეთრის ხარჯვას და საზოგადოებასთან შეუთანხმებლად ფულს არ უნდა ყრიდეს ველობილიკებში, ისედაც ვიწრო ქუჩების დავიწროებაში; ისეთი ექსპერიმენტების ჩატარებაში, რასაც ჭავჭავაძის, ხოლო შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე აპირებენ — ქუჩის შუაგულში საქალაქო ტრანსპორტის გადატანით, ველოსიპედის სასარგებლოდ, პროსპექტების დავიწროებით.

ხელისუფლებამ თავისი მტკიცე სიტყვა უნდა თქვას პარლამენტის შენობის წინ გამართულ მუდმივ მიტინგებთან დაკავშირებით. მან უნდა შეიგნოს, რომ მსგავსი ღონისძიება ანტირეკლამაა ქვეყნისთვის და აშკარა მანიშნებელია, რომ **„რაღაც ვერ არის კარგად საქმე დანიის სამეფოში“.**

მიტინგები, თანაც მუდმივი, რასაც საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოები ყურადღებით აკვირდებიან, არ მისცემთ მათ საშუალებას, ურჩიონ საკუთარ ხალხს საქართველოში დასასვენებლად და დროსატარებლად ჩამოსვლა.

პუტინის გადაწყვეტილება რუსი ტურისტების ჩამოსვლის შეზღუდვასთან დაკავშირებით უსაფრთხოებიდან გამომდინარეობს და არ ისახავს მიზნად საქართველოს ეკონომიკის განადგურებას.

ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები კი რას აკეთებენ — ხოტბას ასხამენ პარლამენტის შენობის წინ თავშეყრილ მომიტინგეებს — რა შესანიშნავი ახალგაზრდები გვყავს, წარმატებული მომავალი ქვეყანას გარანტირებული აქვსო.

წარმატებული მომავალი ვერ ექნება ქვეყანას, რომელიც 30 წლის განმავლობაში მუდმივ მიტინგებშია. ნაცვლად იმისა, ამ ახალგაზრდებს შეუძახონ — თქვენი მიტინგით ქვეყანა ნადგურდება და სწავლას მიხედეთო, პირიქით, აგულიანებენ და ტელეეკრანებიდან მოუწოდებენ ყველას — მიტინგებზე მოდითო, რასაც ტელევიზიით ვერ გაიგებთ, მიტინგზე, ე.წ. საინფორმაციო მიტინგზე გეტყვიან, რა ხდება ქვეყანაშიო.

„საინფორმაციო მიტინგები“ — რა შესანიშნავი გამოგონებაა, ყოჩაღ ახალგაზრდებო. ამბობენ საშუალო ასაკის ადამიანები ტელეეკრანებიდან უპასუხისმგებლოდ, დაუფიქრებლად და იმასაც ვერ გრძნობენ, რომ საარსებო საფუძველი ფეხქვეშ ეცლებათ, ვერც იმას ხედავენ ლარი ყოველდღიურად კი არა, ყოველსაათობრივად სულს რომ ღაფავს.

ახლა, რაც შეეხება „საინფორმაციო მიტინგს“ — ნოვაციად რომ მონათლეს, არავითარი სიახლე არ არის. 1990 წლის შემოდგომით, ის-ის იყო გამსახურდიას ხელისუფლებამ მუშაობა დაიწყო და მოულოდნელად უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე პატივცემულმა ზვიადმა, მიტინგებს მონატრებულმა, განაცხადა — რამდენი ხანია, მიტინგი არ ჩაგვიტარებია, მოდით, დავიწყოთ ჩვენი შენობის წინ საინფორმაციო მიტინგების გამართვაო.

ხელისუფალის ამ „ბრძნულ“ წინადადებას უმალ მხარი დაუჭირეს უზენაესი საბჭოს წევრებმა და დაიწყო მიტინგები. თუ რით დამთავრდა, ყველამ კარგად იცის.

ტელეკომპანია „პირველების“ ჟურნალისტებთან „დაკითხვაზე“ (ინტერვიუ დაკითხვას უფრო ჰგავს, ვიდრე ინტერვიუს) მყოფმა ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ქობულიამ ილაპარაკა რა ქვეყნის ეკონომიკაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიტინგები, მუდმივი დემონსტრაციები, აგრესიული სატელევიზიო განცხადებები უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე და აფერხებს ტურიზმის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას.

რას არ ეცადნენ „ჟურნალისტები“, რომ ქობულიას ეთქვა, რუსეთია ყველაფერში დამნაშავეო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. რესპონდენტი ვერ გატეხეს და ბოლოს გაკვირვებაც გამოთქვეს. მათი აზრით, ასეთი რუსოფილური აზრების მატარებელი მინისტრი, რატომ გაუშვა „ოცნებამ“ თანამდებობიდანო.

არადა, ქობულიას პასუხებში არავითარ რუსოფილობას ადგილი არ ჰქონია. მან ობიექტურად შეაფასა ვითარება და თქვა სიმართლე, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაუარესება სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს გამოიწვევს.

ქართველ საზოგადოებას პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მოწესრიგება იოლად შესაძლებელი ჰგონია, რაც არაერთხელ ითქვა კიდევაც ზოგიერთი „ბრძენის“ მიერ ტელეეკრანზე. არ იქნება რუსეთი და ღვინოს უკრაინაში ან სხვაგან შევიტანთო. არ იქნებიან რუსი ტურისტები და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულები შეავსებენ რუსთა არყოფნით დაცარიელებულ ადგილებსო.

ტურისტების მოზიდვას მრავალი წელი და დაუღალავი, მუდმივი შრომა ესაჭიროება, გარდა ამისა, ძვირად ღირებული სარეკლამო რგოლების დამზადება და საზღვარგარეთის ქვეყნების ტელეარხებით გადაცემა, რაც ბევრ ფულთან არის დაკავშირებული.

რუსეთთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობებმა ეს პრობლემები მოგვიხსნა. რუსს არ სჭირდება რეკლამა. მან იცის საქართველო, მისი მინერალური წყლები, ღვინო, სამზარეულო და ბევრი სხვა რამ, რაც მას მაგნიტივით იზიდავს. ეს მიზიდულობა ერთად ცხოვრებამ ჩამოაყალიბა და მას კონკურენციას ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუწევს. ქართული პროდუქციის უცხოეთის ბაზარზე შეტანას მრავალი წელი დასჭირდება.

ერთ მაგალითს მოვიყვან — რუსეთის წინააღმდეგ ამერიკელთა მიერ შემოღებულ სანქციებზე ფეხსაყოლილმა ნორვეგიამ რუსეთში აღარ შეიტანა თევზეული. რუსეთმა იოლად შეავსო ეს დანაკარგი. რაც შეეხება ნორვეგიას, მან დიდი ზარალი იგემა და იძულებული გახდა, ზურგი შეექცია სანქციებისთვის და რუსეთისთვის თხოვნით მიემართა — დაეშვა ნორვეგიული თევზი რუსულ ბაზარზე. მხოლოდ დიდი ხვეწნისა და ძალისხმევის შედეგად შეძლო მან რუსული ბაზრის (ისიც ნაწილის) დაბრუნება.

ყველა ქვეყანა, მათ შორის ყოფილი საბჭოელები ცდილობენ რუსული ბაზრის დაკავებას. ჩვენ, უჭკუო პოლიტიკიდან გამომდინარე, დაკავებულსაც ვკარგავთ. შემშურდა მოლდოვის, რომელიც ყველა ქვეყანას უსწრებს ვაშლით რუსეთის მომარაგებაში. მას არც აზერბაიჯანი ჩამორჩება. განა ჩვენ არ შეგვიძლია ვაშლის ან სხვა ხილის რუსეთში შეტანა?

მაგრამ გულმოსულები სულ იმას ვითხოვთ, შევეშვათ რუსეთს, სხვაგან გავყიდოთო, თითქოს ის „სხვაგან“ საქართველოს პროდუქციას გულისფანცქალით ელოდება.

რუსეთს, რომელიც ელოდება, ლანძღვით ვიკლებთ, დიდ ოკუპანტად და მტრად, ჩვენი მიწების ისტორიულ მიმტაცებლად ვაცხადებთ, არადა, ისტორია რომ სხვას გვეუბნება?

მაგალითად, ამას: მე-16 საუკუნეში სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი — ტაო-კლარჯეთი, მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს და „გურჯისტანის ვილაითი“ უწოდეს. ეს ტერიტორიები მხოლოდ რუსეთის იმპერიის დახმარებით — 1828 წლის და 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად დაუბრუნდა საქართველოს.

როდესაც ვახსენებთ ტოპონიმებს ბათუმი, ქობულეთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური და ა.შ. უნდა გვახსოვდეს, რომ ურუსეთოდ ეს ყველაფერი თურქეთისა იქნებოდა. დანარჩენი საქართველო რა იქნებოდა და იქნებოდა თუ არა, ღმერთმა იცის.

რომ არა ერეკლე II-ს გონივრული გადაწყვეტილება საქართველოს არსებობას მსუყე კითხვის ნიშანი დაესმებოდა.

კომუნისტების დროს განხორციელდა საქართველოს ერთ რესპუბლიკად ჩამოყალიბება-განმტკიცება. ამ საქმეში სტალინმა და ბერიამ უდიდესი წვლილი შეიტანეს. ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა თურქეთში დარჩენილი საქართველოს ტერიტორიების დაბრუნება და გარდა ამისა, ტრაპიზონის მხარის შემოერთება. ამაზე გაცხოველებული მუშაობა იყო გაშლილი, როგორც მოსკოვში, ისე საქართველოში, მაგრამ ამერიკელთა მიერ ატომური ბომბების ჩამოყრამ ხიროსიმასა და ნაგასაკში, სტალინური პროექტი შეაჩერა.

ეს უბრალოდ ცნობისთვის. რაც შეეხება თანამედროვეობას, ვერ გამოვდექით წინაპართა საქმის ისეთ გამგრძელებლად, ქვეყანას რომ წაადგება. ვერ გავაცნობიერეთ, რომ მტრობა ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანასთან — ვიღაც მესამის მოიმედეობით, კარგს არაფერს მოგვიტანს.

რეალობის აღსაქმელად ვურჩევდი ყველას გლობუსის ან მსოფლიო რუკის შეძენას და იქ საქართველოს მოძებნას (თუ არ გაგიჭირდებათ), შემდეგ იმის გააზრებას — რამდენად არის შესაძლებელი ამ პატარა ქვეყნის მიერ დიდი პრეტენზიების გამოთქმა, დიდ პოლიტიკაში ყოფნა და უსაფუძვლო ფიქრი, რომ მთელი მსოფლიო საქართველოს ირგვლივ ტრიალებს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა ანაკლიას ხელს არ უშლის

ღია წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, ქალბატონ ნათია თურნავას

უკვე მერამდენე წელია, ხმა არ დაგვიძრავს. ღმერთია მოწმე, ფოთელები არც ამჟამად ვაპირებდით ანაკლიის პორტის აშენებასთან დაკავშირებით პოლემიკაში ჩართვას, თუმცა გასაპროტესტებელი თავიდანვე ბევრი გვქონდა.

მაგრამ საქმის ვითარება, სახელმწი ფო სამსახურების ბოლოდროინდელი მზაკვრობანი გვაიძულებს, ეს დუმილი დავარღვიოთ, წინასწარვე ვგრძნობთ და ვიცით, „სპილოს წინააღმდეგ გოშიას წკმუტუნისა არ იყოს, ამჯერადაც ჩვენს ნათქვამსაც დიდი შედეგი შეიძლება არ მოჰყვეს, მაგრამ ისიც საქმეა თუ სიმართლე ხმამაღლა გაცხადდება.

ახლა კი მოგვისმინეთ ფოთელებს. გაეცანით ჩვენს პოზიციას:

მსოფლიო ისტორიის წყაროებში დღემდე არ მოიპოვება კოლხეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და მისი აღზევების ზუსტი ცნობები. ამდენად ფოთზე, მის ეკონომიკურ განვითარებაზე, ზღვასთან ფუნქციურ დამოკიდებულებაზე და კიდევ ბევრ სხვა რამეზე, ცნობები ლამის ადამის ჟამიდანაა საძიებელი. მაგრამ მრავალი წყაროდან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ყველა არსებული წყაროდან ცნობილია, რომ ფოთი (ფაზისი, ფუთი) იყო უდიდესი იბერიული ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი საზღვაო ქალაქი, სადაც არსებობდა მსოფლიო მნიშვნელობის განათლების ცენტრი.

ანაკლიის პორტი

ფოთის პორტი

რადგანაც არსებული წყაროები საზღვაო ქალაქზე მიგვითითებს , ეს იმასაც ნიშნავს, რომ აქ, ფოთში, არსებობდა საზღვაო ნავსადგური, რომელიც თავისი დანიშნულებით ამართლებდა იმდროინდელ მოთხოვნებს. ის სხვა დროსაც, ყველა ეპოქაში თავის დონეზე იდგა. საკმარისია, აღინიშნოს, რომ 1941-45 წლების მსოფლიო ომის დროს ნავსადგური შავ ზღვაზე საბჭოთა ფლოტის ერთადერთი ნავსაყუდელიც და სამხედრო ხომალდების ერთადერთი სარემონტო ბაზაც (201 ქარხანა)იყო.

რა თქმა უნდა, ინტერესმოკლებული არ არის ის ნიშნები, თუ მაინცდამაინც ამ გეოგრაფიულ წერტილში რატომ გაშენდა ქალაქიც და ნავსადგურიც (უფრო სწორად სანავსადგურო ქალაქი ფოთი) და არა სხვაგან, ვთქვათ იმავე ანაკლიაში, ან ლაზიკაში, ან ვთქვათ დიოსკურიაში, რომელიც იმ დროს საკმაოდ ცნობილი ქალაქი იყო. შეგახსენებთ, ერთ დროს მეტად წარმატებულ ნავსადგურად ითვლებოდა ყულევი, ანუ რედუტ-კალე, მაგრამ ეს ისტორიული საიდუმლოებებია.

ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მეცნიერული კვლევებისა და დისკუსიების შედეგად გადაწყდა, ნავსადგური აშენებულიყო ფოთში. და ფოთის ნავსადგური ათეული საუკუნეების განმავლობაში (ბევრად ადრე, ვიდრე 1858 წელს რუსეთის იმპერატორი ფოთს ქალაქის — ნავსადგურის წოდებას მიანიჭებდა) პირნათლად ასრულებდა საქართველოს კარიბჭის საპატიო მოვალეობას.

დღეს სიმართლეს არავინ გეტყვის, თუ რატომ და რა მიზნით თანამედროვე „ახალგამოჩეკილმა“ სახელმწიფო ფუნქციონერებმა ხელი კრეს ძველ მოაზროვნეთა კვლევა-ძიებებს და მათ საკუთარი უგუნური იდეები დაუპირისპირეს.

საჭიროა, აშენდეს ახალი ტიპის ნავსადგური — ღრმაწყლოვანი, მრავალპროფილიანი, მრავალფუნქციანი გემების უფრო მეტ რაოდენობაზე გათვლილი? რა, ფოთის ტერიტორიაზე არ იყო ამის საშუალება „აბრეშუმის გზის“ ისტორიული განაკვეთი რომ არ გაგემრუდებინათ?

იმათთვის ვინც გეოგრაფიაში „ცოტას“ მოიკოჭლებს, გაგიმხელთ, რომ ფოთის ნავსადგურიდან დასავლეთ-ჩრდილოეთით ყულევის მიმართულებით თვით ყულევამდე, გადაჭიმულია თითქმის აუთვისებელი სივრცე 6-7 კმ სიგრძით, ქალაქის მეორე მხარესაც ასეთივე თავისუფალი სივრცეა.

ასე რომ, ფოთში ნებისმიერი სიდიდის და პროფილის ნავსადგურის მშენებლობაა შესაძლებელი. თუ სალაპარაკო იქნებოდა რიონის ჩამონატანები, მისი ნეიტრალიზება და ნავსადგურის აკვატორიაში შეუღწევლობა არ უნდა იყოს მიუღწეველი პრობლემა.

არ გვინდა, ვინმემ იფიქროს და ცოდვა მოგვაწეროს — ფოთელებს ბოღმა ახრჩობთ და შურით აღივსნენ, არჩევანი ანაკლიაზე რომ შეჩერდა. პირიქით, ფოთელები მივესალმებით ჩვენი ქვეყნისთვის ყოველ სასიკეთო ნაბიჯს. და განა რამე ჯობს ორი-სამი კი არა, ნეტავ ათი ნავსადგური იყოს გემებით გავსებული და ტვირთით გადაჭედილი?!

უბრალოდ ისმის კითხვა, რატომ გახდა ანაკლია მიჩნეული საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ერთადერთ სტრატეგიულ ადგილად ახალი ნავსადგურის ასაშენებლად? რა უდევს ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად? პასუხები ამ კითხვებზე გასაჯაროებული არ არის. პრესის პუბლიკაციებიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ საკითხით მთავრობაშიც და ქვეყნის მმართველ მაღალ ეშელონებშიც ბევრია დაინტერესებული, ვინც საკუთარ ჯიბეზე მეტად ზრუნავენ, ვიდრე სახელმწიფოს სარგებლობაზე. ვიცი, ნამეტანი თამამი ნათქვამია და ბევრს არ მოეწონება, მაგრამ პრესაში გაჟღერებული ფაქტები, რომლებიც არავის არ უარუყვია, სხვანაირი დასკვნის საშულაებას არ გვაძლევს.

აბა სხვა რით შეიძლება აიხსნას ის ვითარება, რომ ფოთის ნავსადგურს აქვს ყველა პირობა რეკონსტრუქციაგაფართოებისა, იმისა, რომ ახალი ღრმაწყლოვანი ნავმისადგომების აშენების შემდეგ დასამუშავებლად მიიღოს ნებისმიერი წყალწყვის საჭირო რაოდენობით გემები და ეს ყველაფერი ფინანსურად უფრო იაფი (სულ ცოტა ხუთჯერ მაინც) დაჯდება და დროშიც ბევრად ადრე (მაქსიმუმ 3-4 წელიწადში) მოეწყობა. თანაც გასათვალისწინებელია მთავარი გარემოება, რომ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციაგაფართოებას აწარმოებენ ამერიკის შეერთებული შტატების კერძო კომპანიები და ნავსადგურის ამჟამინდელი მფლობელი „ეი პი ემ ტერმინალის“ ხელმძღვანელობა საქართველოს მთავრობის ფინანსების ჩაურევლად.

ზრდილობისათვის ვეკითხებით მინისტრს — როგორ მოვიქცეთ, არ ჩავატარებინოთ ინვესტორს და მფლობელს გაფართოების სამუშაოები, ე.ი. უარი ვუთხრათ თქვენივე მეშვეობით გაფორმებულ ხელშეკრულების შესრულებაზე და დაველოდოთ, როდის მოიცლით ფოთელებისათვის და „ჩვენთანაც განახორციელებთ მნიშვნელოვან ლოჯისტიკურ ღონისძიებებს, რომელიც ჯერ გააზრებულიც არა გაქვთ?

„ანაკლიის განვითარების კონსეფციუმის“ შეშფოთება, რომ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციით ანაკლიის პორტის პროექტის შეჩერების საფრთხე შეიქმნას, წმინდა წყლის კომედიაა და სახელისუფლებო სტრუქტურა ასეთ ანკესზე არ უნდა ეგებოდეს.

„ბავშვი არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო“, იმისი არ იყოს, უკვე ატეხილია გნიასი: „ფოთის ნავსადგური უშლის ხელს“, „ნოვორასიისკის ნავსადგური ართმევს ტვირთებს“ და სხვანი.

ზოგიერთებს ძალიან იოლად მიაჩნიათ ანაკლიის გიგანტი ნავსადგურის აშენება და ექსპლუატაციაში გაშვება. არა ბატონებო, ეს ჰულა-ჰუპის რგოლები არაა, „ტანის“ ერთი მოქნევით თეძოზე ბზრიალასავით დაატრიალო.

არაფერს ვამბობთ ამ პროექტის განსახორციელებლად არსებულ ბუნებრივ, ტექნიკურ და ფინანსურ სიძნელეებზე და ბევრ სხვა შეუსაბამობაზე. ჩვენი შეხედულებით პროექტი დაგეგმილზე ბევრად ძვირი დაჯდება და დროშიც ძალიან გაიწელება.

ცალკე თემაა ტვირთნაკადების რეგულირება. ნურავის ეგონება, რომ აშენდა ანაკლიის ნავსადგური და მას უწყვეტ ნაკადად მიაწყდება „გიგანტი“ გემები ყველა მხრიდან და ზღვიდან. ტვირთნაკადები მსოფლიოში მკაცრად რეგლამინტირებულია და ტყუილად ნურავინ იფიქრებს, რომ ყველა ტვირთი ანაკლიაში შეაქუჩოს. ეს აბსურდია, ეს შეუძლებელია. ყველა ტვირთს თავისი მისამართი ექნება, თავისი მიმართულებით ივლიან და საჭირო იქნება, საქართველოს ყველა ნავსადგური ყოველნაირად მზად იყოს ტვირთების გადასამუშავებლად.

ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციაგაფართოების დაბლოკვა ეს ვიღაცის თავში მოსული უგუნური აზრია და ის ეკონომიკური სტაგნაციის გარდა კარგს არაფერს არ გამოიწვევს. ნავსადგურების და რეგიონების დაპირისპირება მრავალი უარყოფითი შედეგის მატარებელი იქნება. კონკურენციამ პორტებს შორის პირიქით უნდა გააქტიუროს ბრძოლა დამატებით ტვირთების მოსაზიდად, გამოიწვიოს ფასების შემცირება, უკეთესი მომსახურებასერვისის შექმნა და სხვა. ამდენად ყველაფერი უნდა გაკეთდეს არა მარტო ანაკლიის, არამედ საქართველოს სამივე ნავსადგურის ასაშენებლად, ვინაიდან ნავსადგურები ქვეყნის სიძლიერეა, მისი შემდგომი განვითარების, ეკონომიკის გაძლიერების, ვაჭრობის გაზრდის და საერთო ჯამში ქვეყნებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის საუკეთესო საშუალება და საფუძველთ-საფუძველია.

ო. ხუხუნი
ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე

„ჯორჯიან ეარვეისი“ ფინანსური დახმარებისთვის მადლობას იხდის

„საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლის შეჩერებამ ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ მნიშვნელოვანი დარტყმის ქვეშ დააყენა და მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააგდო. ავიაკომპანიას მოუწია უკვე რეალიზებული ავიაბილეთების 80%-ის უკან დაბრუნება. გარდა ამისა, მკვეთრად შემცირდა ავიაბილეთების შეძენის მსურველთა რიცხვი, რითაც ავიაკომპანიამ ჯამში დაახლოებით 25 მილიონი დოლარის ზარალი მიიღო.**

ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ მენეჯმენტმა თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას, რომ გაეწია ფინანსური დახმარება. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზიანის ნაწილობრივი კომპენსაცია მოეხდინა „ჯორჯიან ეარვეისისთვის“, რითიც გვერდში დაუდგა ქართულ ავიაკომპანიას.

ლონდონის ბირჟაზე „თიბისი ბანკის“ აქციების ფასი იზრდება

ამ დროისთვის ერთი აქციის ფასი 13 გირვანქა სტერლინგს აღემატება. ღირებულება დაახლოებით 5.5 პროცენტით არის გაზრდილი. პარასკევს ერთი აქციის ფასი 12.42 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, რაც 2016 წლის სექტემბრის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო. გენერალურ პროკურატურაში 24 ივლისს გამართულ ბრიფინგამდე კი, აქციების ფასი დაახლოებით 15 გირვანქა სტერლინგი იყო. ამასთან, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ განაცხადეს, რომ „თიბისი ჯგუფში“ ხელმძღვანელ თანამდებობებს დატოვებენ, რათა ბანკის აქციონერები და ინვესტორები მეტად არ დაზარალდნენ.

◎ ძიუდო

ტრიუმფი ზაგრების გრან-პრიზე

ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრების გრან-პრი ქართველ ძიუდოისტთა ტრიუმფით დასრულდა. შეჯიბრების დასკვნით დღეს ოქროს მედლები ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ.) და გელა ზაალიშვილმა (+100 კგ.) მოიპოვეს, ბრინჯაო კი ლევან მატიაშვილმა (+100 კგ.) მიითვალა.

ღვინიაშვილმა პირველ წრეში სლოვენიელი ნარსეი ლაჩკოვიჩი დააიპონა, შემდეგ უზბეკ შახზოდბეკ საბიროვს 3 შიდო აჰკიდა, მეოთხედფინალში იაპონელმა კენტა ნაგასავამ ტრავმა მიიღო და ბრძოლა ნაადრევად დაასრულა, ნახევარფინალში ვაზარით უნგრელ კრისტიან ტოტს ვაზარის სძლია, ფინალში კი კიდევ ერთი იაპონელი სანშირო მურაო იპონზე დაანარცხა.

ამავე წონაში გიორგი პაპუნაშვილმა ბელარუსი იაჰორ ვარაპაიეუ იპონზე დასცა, მაგრამ აზერბაიჯანელ მამადლი მეჰდიევთან დამატებით დროში იპონითვე წააგო და ტურნირს ნაადრევად გამოეთიშა.

მძიმე წონაში ჩინებულად იასპარეზა გელა ზაალიშვილმა, რომელმაც ოქროს მედლამდე ურთულესი გზა განვლო. ქართველმა ძიუდოისტმა გრან პრის სასტარტო ორთაბრძოლაში რუსი ანტონ ბრაჩევი 25 წამში დააიპონა, ებრაელ ორ სასონს 3 შიდო მიაღებინა, პოლონელი მაჩიეი სარნაცკის წმინდად ძლევისთვის მხოლოდ 23 წამი დასჭირდა, ნახევარფინალში ჰოლანდიელ როი მეიერს ვაზარი აკმარა, ხოლო გადამწყვეტ შერკინებაში „გოლდენ სქორში“ იპონით იაპონელ ჰისაიოში ჰარასავას აჯობა.

ცნობისთვის, ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალში მატიაშვილს 3 შიდო აჰკიდა. მანამდე ლევანმა დამატებით დროში იდენტურად აჯობა აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე უშანგი კოკურს, ტაჯიკი თემურ რახიმოვი კი იპონით დაამარცხა. რეპეშაჟში მატიაშვილმა იპონითვე ყაზახ იერასაი კაჟიბაევს სძლია, ხოლო ხსენებულ მაიერთან ვაზარით მარცხდებოდა, როდესაც ჰოლანდიელს მე-3 შიდო მისცეს.

იმავე დღეს საქმეში ონისე სანებლიძე და ლაშა ტაველურიც (ორივე – 100 კგ.) ვიხილეთ, თუმცა, მათ კვარცხლბეკზე ასვლა ვერ მოახერხეს. მართალია, სანებლიძემ არაბეთის გაერთიანებული საამიროების სახელით მოასპარეზე ივან რემარენკოს იპონით მოუგო, მაგრამ ირლანდიელ ბენჯამინ ფლეტჩერთან შებოჭვაზე მოჰყვა.

რაც შეეხება ტაველურს, მან ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მოჭიდავე ადნან ხანკანს იპონით აჯობა, ებრაელ პეტერ პალჩიკთან კი ვაზარით წააგო.

ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალი მიითვალა (სტარტზე მე-3 ადგილი ტატო გრიგალაშვილმა დაიკავა) და პირველ ადგილზე გავიდა.

კობა კობახიძე

მედლები ევროპის ჩემპიონატიდან

ესპანეთის ქალაქ ლას პალმასში გამართული ვეტერან ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის ფინიშზე ქართულმა დელეგაციამ აქტივს მორიგი მედლები შემატა.

ტურნირის ჩემპიონი ლევან წიკლაური (90 კგ.) გახდა, ხოლო ბრინჯაოს მედლებს ხვიჩა წიკლაური (73 კგ.), გიორგი მოდებაძე (100 კგ.) და ზვიად წიკლაური (+100 კგ.) დაეუფლნენ.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ალექსი დავითაშვილმა (+100 კგ.) და ვანო გრიგალაშვილმა (100 კგ.) სამშობლოს 2 ოქროს მედალი შესძინეს, გოჩა ბერაძემ (90 კგ.) და დავით თვალიაშვილმა (60 კგ.) კი ასპარეზობა მესამე ადგილზე დაასრულეს.

მანუჩარ გიორგაძე

თხა თხაზე ნაკლებიო...

იტალიაში დასრულებულ 2019 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ძიუდოისტ უსინათლოთა ნაკრები სამივე სინჯის თითო მედლის მფლობელი გახდა.

მთავარ მწვრთნელ ამირან მარკოიშვილის ინფორმაციით, ფინალში რევაზ ჩიკოიძემ +100კგ.წონით კატეგორიაში აზერბაიჯანელ მეტოქეს, ტიტულოვან ილჰამ ზაკიევს მოუგო და ოქრო დაიმსახურა.

ზვიად გოგოჭურს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ის ფინალში რუსეთელ აბდულა კურამაგომედოვთან დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს ზურაბ ზურაბიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ თაობა

მოგავლის იმედით!

საქართველოს 15-წლამდელ წყალბურთელთა ნაკრებმა ბულგარეთის ქალაქ ბურგასში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ერთი სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

ქართველი მოზარდები მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ და ხორვატეთის უძლიერეს გუნდს 11:10 (2:1, 2: 2, 2:2, 1:2, 4:3 პენალტებში) სძლიეს.

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ შეხვედრის ძირითადი დრო 7:7 დასრულდა, პენალტების სერიაში კი ქართველმა ჭაბუკებმა უფრო იყოჩაღეს.

საქართველოს ნაკრებში 3 გოლით ყველაზე შედეგიანი ბესარიონ ახვლედიანი იყო, გიორგი კოზაშვილმა, ლუკა ჩიქოვანმა და იაკობ ცოტაძემ თავი ორ-ორჯერ გამოიჩინეს, თითო ბურთი კი სანდრო ვასაძემ და გიორგი კირიაკიდიმ შეაგდეს.

დაქანცული „ჯვაროსნები“ ბოლო შეხვედრაში კიდევ ერთ გრანდ სერბეთთან 3:12 დამარცხდნენ და მე-6 ადგილზე გავიდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოლიმპიური ფესტივალი

ცოტაა თუ ბევრი?..

ქართულმა სპორტულმა დელეგაციამ კიდევ ერთი კომპლექსური ღონისძიება მოილია. საუბარია ევროპის მე-15 ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, რომელსაც ბაქომ უმასპინძლა.

„ჯვაროსანთა“ საერთო მონაგარს – 13 მედალსა და გუნდურ ჩათვლაში დაკავებულ 21-ე ადგილს, ერთი შეხედვით, არაფერი დაეწუნება, თუმცა, გვაფიქრებს ის ფაქტი, რომ სამშობლოში ჩემპიონის სტატუსით მხოლოდ ერთი ჩვენი თანამემამულე დაბრუნდა.

არანაკლებ საგულისხმოდ გვეჩვენება ჯილდოების მფლობელთა განაწილება დისციპლინების მიხედვით – ცამეტივე საბრძოლო სახეობათა წარმომადგენლებმა მოიპოვეს, რვა თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა, ხოლო ხუთი – ძიუდოისტებმა.

აღსანიშნავია, რომ ასპარეზობის ბოლო დღეს საპატიო კვარცხლბეკზე სწორედ ტატამის ოსტატები ავიდნენ – აკაკი ჯაფარიძე („ვერცხლი“, 81 კგ), თორნიკე ფოლადიშვილი („ბრინჯაო“, 90 კგ), გიგა ტატიაშვილი („ბრინჯაო“, +90 კგ) და გვანცა სომხიშვილი („ბრინჯაო“, მძიმე წონა).

ბეჟან დოლიძე

◎ ორგზის!

ნიკოლოზ ჰამბურგელი

გუშინ ATP-ის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. იქიდან გამომდინარე, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჰამბურგის ტურნირი წლეულს ზედიზედ მეორედ მოიგო, თანაც ნახევარფინალში მსოფლიოს მე-5 ჩოგან, კორტის მასპინძელ ალექსანდრ ზვერევს სძლია, ხოლო ფინალში – რუს ანდრეი რუბლიოვს, მას 500 ქულა შეუნარჩუნდა და კლასიფიკაციაში ისევ მეთექვსმეტეა.

ნოვაკ ჯოკოვიჩი სოლიდური უპირატესობით ისევ პირველია, ნადალი – მეორე, ხოლო ფედერერი – მესამე.

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი – 12415, 2. რაფაელ ნადალი – 7945, 3. როჯერ ფედერერი – 7460, 4. დომინიკ ტიმი – 4595, 5. ალექსანდრ ზვერევი – 4415, 6. სტეფანოს ციციპასი – 4045, 7. კეი ნიშიკორი – 4040, 8. კარენ ხაჩანოვი – 2890, 9. ფაბიო ფონინი – 2625, 10. დანიილ მედვედევი – 2625, ... 16. ნიკოლოზ ბასილაშვილი – 1975.

გიორგი შოთაძე

◎ ჯანდაცვის სამინისტრო შედეგებს აქვეყნებს

სამშენებლო რეგულაციები 24-მა კომპანიამ დაარღვია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამშენებლო ობიექტებზე ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფების მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგებს აქვეყნებს.

როგორც ირკვევა, ჯანდაცვის სამინისტრომ ერთობლივი ინსპექტირება 2019 წლის 23 ივლისს დაიწყო და 4 დღის განმავლობაში 24 ობიექტი შემოწმდა. აღსანიშნავია, რომ ყველა ობიექტზე არსებითი/კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა.

რაც შეეხება დარღვევებს, გამოვლინდა:

- **რისკების შეუფასებლობა;**
- **სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უგულებელყოფა;**
- **დაუცველი ღიობები (ჭები, შურფები, ლიფტის შახტები, კიბის უჯრედები, ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლოა ადამიანების ვარდნა);**
- **არასტანდარტული, კუსტარული ხარაჩოები, დაკიდული ხარაჩოები;**
- **ტვირთამწეობაზე გამოუცდელი უსაფრთხოების ბადეები;**
- **ინსტრუქტაჟებისა და სწავლებების უგულებელყოფა;**
- **აღჭურვილობის გაუმართაობა;**
- **შრომის უსაფრთოების სპეციალისტის უყოლობა;**
- **გამაფრთხილებელი ნიშნების უგულებელყოფა;**
- **ლიფტების ვარდნის ავარიული დამჭერების გაუმართაობა.**

ცნობილია, რომ მუნიციპალური ინსპექციის მიერ 11-ს შეუჩერდა სამუშაო პროცესი და ადმინისტრაციული სახდელის სახით მიუყენეს ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით, ხოლო ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ამწე მოწყობილობების ინსპექტირების სერტიფიკატის უქონლობის გამო დაჯარიმდა 3 ობიექტი 500 ლარის ოდენობით.

1. შპს იქსორი; 2. შპს აქსისი; 3. შპს გიგანტი 94; 4. შპს ლაგი კაპიტალი; 5. შპს ბოსტონ დეველოპმენტი; 6. შპს მს ბილდერი; 7. შპს სონნეტ კონსტრაქშენი; 8. შპს აიჯი დეველოპმენტ ჯორჯია; 9. შპს მეგა კონსტრაქშენი; 10. შპს ბილდინგ კომპანი; 11. შპს ეი თი დეველოპმენტი; 12. შპს ასტორი ჯგუფი; 13. შპს კვ დეველოპმენტი; 14. შპს ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ; 15. შპს ლიტ ჯეო ინვესტი (ორთაჭალა თაუერი); 16. იმა ჩვენი სახლი; 17. შპს ტიბინი დეველოპმენტი; 18. შპს ალიანს თბილისი; 19. შპს ბალავარი; 20. შპს ლექსველი; 21. შპს ბაზიტი; 22. შპს ჯი ემ თი გრუპი; 23. შპს არკო ინვესტი; 24. შპს რაიან.

დარღვევების გამოსწორების მიზნით ამ კომპანიებს ჯანდაცვის სამინისტრომ გონივრული ვადა 7-დან 10 დღემდე დაუწესა.

სალომე ლემონჯავა

ბათუმში, მშენებარე კორპუსში ლიფტი ჩაწყდა

ბათუმში აღმაშენებლის ქუჩაზე მშენებარე კორპუსთან ლიფტი ჩაწყდა, შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა.

მშენებელი კომპანიის, „გრანდ სიტის“ წარმომადგენლები თავს დაესხნენ ოპერატორებს, რომლებიც შემთხვევის ადგილს იღებდნენ. მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ქვები დაუშინეს.

შედეგად, პირველი არხის ოპერატორმა ედნარ კოჩალიძემ დაზიანება მიიღო. მას ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული.

შემთხვევის დროს ლიფტი კაბინაში მყოფი ოთხივე ადამიანი დაშავდა.

ფშაველი-აბანო-ომალოს გზა გადაიკეტა

თუშეთში სამძებრო-სამაშველო ოპერაცია გრძელდება. მაშველები ამ დრომდე ეძებენ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაკარგულ ერთ ადამიანს.

სამაშველო სამუშაოების გამო გუშინ დილიდან გადაიკეტა ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზა სოფელ ლეჩურის მიმდებარე ტერიტორიიდან ომალომდე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, 27 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ხევში გადავარდნილი სატვირთო ავტომობილის ამოსაყვანად, ხეობაში მძიმე ტექნიკა შევიდა.

„უწყვეტ რეჟიმში გრძელდება საძიებო-სამაშველო ოპერაცია. მაშველებმა ავარიას გადარჩენილი ხუთი მოქალაქიდან სამი, რომლებიც შოკურ მდგომარეობაში ხევში იყვნენ ჩარჩენილები, უვნებლად ამოიყვანეს. ისინი სამედიცინო ბრიგადამ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და საავადმყოფოდან უკვე გაწერილები არიან. ამ დროისათვის მაშველებმა შეძლეს ექვსი ადამიანის ცხედრის პოვნა და ხევიდან ამოტანა“, — აცხადებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

სულთათანა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიხაურის საშუალო სკოლის 1957-1958 წ.წ. კურსდამთავრებელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ღირსეული კურსდამთავრებული

დარიკო სიმონის ასული მამინაიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის შვილებს, ოჯახის სხვა წევრებს და მეგობრებს.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

მეუღლე რევაზ, შვილები ლელა, დინა, ვლადიმერ ბასარიები, შვილიშვილები რევაზ, ნინო თოდუები, ნატო, ნათია ზაალიშვილები, ვლადიმერ, ეკატერინე ბასარიები, სიძეები თემურ თოდუა, მიხეილ ზაალიშვილი, გიორგი ეზუგბაია, რძლები ოქსანა შვიდკო, სალომე ვაშაკიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნატალია ევგენის ასული ბასარია

მისამართი: თბილისი, ქუჩიშვილის №9, I სადარბაზო;

გამოსვენება: 30 VII, ანტონ მარტყოფელის სახ. ეკლესიიდან (ცინცაძის 44, ყოფილი საბურთალოს ქ.), 14 საათზე.

გარდაიცვალა კიდევ ერთი კარგი ქართველი

ჯუმბერ სახელაშვილი

რომელიც სიკეთისთვის იყო დაბადებული. წავიდა თავის მეუღლესთან, რომელიც სამიოდე თვის წინათ გარდაეცვალა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ნაპოლეონ ქარქაშაძის ოჯახი

შპს „ენგურჰესის“ და შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის გეოდინამიკური კვლევების ღვაწლმოსილი ხელმძღვანელის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, „ღირსების ორდენის“ კავალერის, ყველასათვის საყვარელი პიროვნების

ვახტანგ აბაშიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს, კოლეგებსა და მეგობრებს.

სოკოთი მოიწამლნენ



ლენტეხში სოკოთი მოწამვლის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ორი კი საავადმყოფოშია მოთავსებული.

როგორც რეფერალური საავადმყოფოს დირექტორმა ირაკლი გოგინავამ განაცხადა, ორივე პაციენტი მართვით სუნთქვაზეა და მათი მდგომარეობა მძიმეა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო.

სუიციდი გახშირდა

მიმდინარე წლის 6 თვეში, საქართველოს მასშტაბით, სუიციდის 207 შემთხვევა დაფიქსირდა. სუიციდის მცდელობა კი 219 ადამიანს ჰქონდა. სტატისტიკურ მონაცემებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. სუიციდის შეთხვევებიდან — 167 მამაკაცია, რომელთა შორის, ორი არასრუწლოვანია (15 და 17 წ.), ხოლო 40 — ქალი, რომელთაგან 5 არასრუწლოვანია (14, 15, 16 და 17 წლისანი).

სუიციდის ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისშია, ასევე, სამეგრელოსა და აჭარაში. თვითმკვლელების ასაკი, ძირითადად, 25-30 წელია.

1 აგვისტოს გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ იუბილეა!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თითოეულ მკითხველს, ამ კოლორიტული კურორტის მერიასა და საკრებულოს რაიონული გაზეთის შენარჩუნებას და აღორძინებას! 80 წლის გაზეთის არსებობა და საიუბილეო თარიღის აღნიშვნა იმას ნიშნავს, რომ ეს გაზეთი არასოდეს მოკვდება და გონიერ წყალტუბოელებს ბეჭდვითი სიტყვის მადლი მომავალშიც არ მოაკლდებათ.

ბარაქალა თქვენ, კიდევ ერთხელ გილოცავთ!

წინ და მაღლა...

კოლეგასა და უახლოეს მეგობარს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს მურთაზ კანკაძესა და იმ სახელოვან გუნდს, რომელიც მასთან ერთად განაგრძობს „ახალი წყალტუბოს“ სახელით გულმართალ საუბარს, მთელი გულითადობით ვულოცავთ სახელოვან იუბილეს — გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან 80 წლის შესრულებას.

იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ მედიისა და გამოხატვის თავისუფლებაზე მოლაყბეებმა დაარბიეს და საკუთარი ჭერი წაართვეს ასობით გაზეთს, მოკლეს ისეთი პოპულარული რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთები, როგორებიც იყო „სოფლის ცხოვრება“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „თბილისი“, „ქუთაისი“ და მრავალი სხვა, თქვენი გაზეთის სიცოცხლის შენარჩუნება ნამდვილად სამაგალითო გმირობაა, რაც მიუტევებელია, საგანგებოდ არ აღინიშნოს როგორც „ახალი წყალტუბოს“ თანამშრომელთა, კოლეგების, ისე თითოეული მკითხველის მიერ, მით უფრო, თუ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უაღრესად შეჭირვებულ დროს გავიხსენებთ.

დე, ჭირთათმენის აუცილებლობა ერთხელ და სამუდამოდ დასრულებულიყოს, რომ წინ და მაღლა ლაღად გევლოთ, ძვირფასო კოლეგებო!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისიდან

სკოლას ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა

ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლას საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა.

შესაბამის ბრძანებას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა მოაწერა ხელი. შეგახსენებთ, ძველ ხიბულაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მათ შორის ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლის რეაბილიტაცია და ახალი ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობს.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წელს მეთერთმეტედ იმართება, 23 სექტემბერს დაიწყება და ერთ თვეს გაგრძელდება.

საერთაშორისო პროგრამას ცნობილი ბრიტანელი მოცეკვავეების — ჯოუელ ბრაუნისა და ივ მაცოს დუეტი გახსნის. სპექტაკლი „ასთერთმეტი“, როგორც ბრიტანული პრესა წერდა, „ვიზუალურად გასაოცარი და შთამბეჭდავია“

საინტერესო და მრავალფეროვან პროგრამაშია თეატრალური დასების წარმოდგენები ესპანეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან, უეინ მაკგრეგორის ცეკვის სტუდიის გამოსვლა ბრიტანეთიდან. ფესტივალზე კვლავ იქნება წარმოდგენილი თანამედროვეობის ცნობილი რეჟისორის ოსკარას კორშუნოვასის დადგმა — ამჯერად ლიტვის ნაციონალური თეატრისა და ავინიონის ფესტივალის ერთობლივი სპექტაკლი „ტარტიუფი“.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2009 წელს ქალაქ თბილისის მერიის მიერ დაფუძნდა.

საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე 31 ივლისს გამოვლინდება

საქართველოს კანდიდატი ფილმი ამერიკის კინოაკადემიის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის 31 ივლისს, 15:00 საათზე, ეროვნული არქივის კინოდარბაზში გამოვლინდება.

ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს შემდეგი ხუთი ქართული ფილმია წარდგენილი:

ნინო ჟვანიას „აღლუმი“, მარი გულბიანის დოკუმენტური ფილმი „სანამ მამა დაბრუნდება“, დიმიტრი ცინცაძის „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“, გიგიშა აბაშიძის „მეზობლები“, დიმიტრი ცინცაძის „შინდისი“.

გამარჯვებული ფილმი ოსკარის კამპანიაში ჩაერთვება და ამერიკის კინოაკადემიის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციაში მოსახვედრად იბრძოლებს.

მკვლელობა ფესტივალზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიაში, ქალაქ გილორიში, ნივრის ფესტივალზე, შეიარაღებულმა მამაკაცმა 3 ადამიანი მოკლა. შემთხვევის შედეგად დაშავდა 15 ადამიანი.

პოლიციამ შეიარაღებულ მამაკაცს ცეცხლი გაუხსნა. თავდამსხმელი ადგილზე გარდაიცვალა, თუმცა პოლიცია ეჭვობს, რომ შესაძლოა არსებობდეს მეორე ეჭვმიტანილიც.

„ნივრის ფესტივალი“ დასასრულს უახლოვდებოდა, რა დროსაც ერთმა მამაკაცმა სროლა დაიწყო.

პოლიციის განცხადებით შეიარაღებული მამაკაცი ფესტივალის ტერიტორიაზე ღობიდან გადაძვრა, სროლა ერთ წუთზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა.

„გილორის ნივრის ფესტივალი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ წელს, ივლისის ბოლო კვირას ტარდება.

40 000 ლიტრი დიზელის საწვავი წყნარ ოკეანეში ჩაიღვარა

შემთხვევა სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე, ჩილე-არგენტინის საზღვაო საზღვართან მოხდა.

ჩილეს საზღვაო ძალების განცხადებაში ნათქვამია, რომ წიაღისეულის მომპოვებელი კომპანია CAP-დან გუარელოს კუნძულებთან 40 ათასი ლიტრი დიზელის საწვავის ოკეანეში ჩაღვრის შესახებ შეტყობინება მიიღეს.

ეს ტერიტორია მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ხელშეუხებელ რეგიონად ითვლება, რომელიც ცნობილია თავისი ბიომრავალფეროვნებით.

ჩილეს საზღვაო ძალებმა შემთხვევის ადგილზე გამოძიებისა და ზარალის დასათვლელად რამდენიმე ეკიპაჟი უკვე გაგზავნა.

კომპანია CAP-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ყურეში საწვავის ჩაღვრით გარემოს ზიანი მიადგა, თუმცა მათ დაუყოვნებლივ დაიწყეს დასუფთავების სამუშაოები.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 1 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9321; ევრო - 3.2637;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6446;
100 რუბლი - 4.6456; თურქული ლირა - 0.5180;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7268;
1000 სომხური დრამი - 6.1664.

ამინდი 30 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+35
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+36
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+37

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge